



საპარტაღდამსავთა შიარ საპარაულოდ ჩადენილი დანაშაულის ფაქტები და მათზე სახელმწიფოს რეაგირება

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
წარმოებაში არსებული საქმეების ანალიზი

თბილისი, 2016

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სამართალდამცავთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის ფაქტები და მათზე სახელმწიფოს რეაგირება

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა
ასოციაციის წარმოებაში არსებული საქმეების
ანალიზი

პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.



USAID
ამერიკელი ხალხისგან



**EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE**
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

ავტორთა მიერ ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ამერიკის მთავრობის პოზიციას.

ავტორი: მერი ღაუშვილი

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

**გამოცემაზე პასუხისმგებელი: ანა ნაცვლიშვილი
ეკატერინე ციმაკურიძე**



აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ. 15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2016, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. შესავალი	5
2. მეთოდოლოგია	6
3. ძირითადი მიგნებები	7
4. პრობლემების ანალიზი	8
4.1. სამართალდამცავთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე არაეფექტური გამოძიების წარმოება	8
4.2. დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე დაუსაბუთებლად უარის თქმა	12
4.3. სამართალდამცავთა მხრიდან სავარაუდოდ განხორციელებული დანაშაულის მსხვერპლთათვის ადმინისტრაციული/სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება	15
5. რეკომენდაციები	19
6. დანართი	21
6.1. დ.კ-ს საქმე	21
6.2. ბ.კ-ს საქმე	22
6.3. გ.კ-ს საქმე	22
6.4. ე.თ-ს საქმე	23
6.5. შ.ზ-ს საქმე	24
6.6. გ.თ-ს საქმე	24
6.7. ლ.ა-ს საქმე	26
6.8. ნ.ბ-ს საქმე	26
6.9. ლ.ხ-ს და მ.გ-ს საქმე	27
6.10. რ.ჯ-ს საქმე	28

6.11. გ.კ-ს საქმე	29
6.12. ე.ძ-ს საქმე	29
6.13. თ.გ-ს საქმე	30
6.14. თ.მ-ს და გ.ვ-ს საქმე	30
6.15. რ.პ-ს საქმე	31
6.16. პ.კ-ს საქმე	33
6.17. ს.ჯ-ს საქმე	34
6.18. ლ.შ-ს საქმე	36
6.19. ვ.ლ-ს საქმე	37
6.20. მ.მ-ს საქმე	37
6.21. გ.ს-ს საქმე	39

1. შესავალი

ანგარიში მიზნად ისახავს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმოებაში არსებულ შესაბამის საქმეებზე დაყრდნობით გააანალიზოს, რამდენად ეფექტურია სამართალდამცავთა მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტებზე სახელმწიფოს მხრიდან რეაგირება, პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა და დასჯა.

სამართალდამცავთა მხრიდან ჩადენილი დანაშაულების დროულ გამოვლენასა და მათზე სათანადო რეაგირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რათა აღმოიფხვრას დაუსჯელობის პრობლემა, რომელიც უკავშირდება თავად დანაშაულთან ბრძოლის ფუნქციით აღჭურვილი თანამდებობის პირების მიერ დანაშაულის ჩადენას, აგრეთვე, საზოგადოებაში ქვეყნის სამართალდამცავი სისტემის მიმართ სათანადო ნდობისა და პატივისცემის შენარჩუნებისა და ხელშეწყობისთვის. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“ ხაზი გაუსვა სამართალდამცავი ორგანოების მოსამსახურეების სათანადო დასჯის განსაკუთრებულ აუცილებლობას მათ მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.¹

ბოლო პერიოდში სამართალდამცავთა მიერ უფლებამოსილების გადამეტებისა და არასათანადო მოპყრობის მხრივ მდგომარეობის გაუარესებაზე მიუთითებს საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის სპეციალური ანგარიში, რომელშიც აღნიშნულია, რომ „როგორც ანგარიშში განხილული საკითხები ცხადყოფს, 2014 წელთან შედარებით, 2015 წელს პოლიციის მხრიდან დაკავებულ პირთა მიმართ არასათანადო მოპყრობის მხრივ, მდგომარეობა გაუარესებულია.“²

სამართალდამცავთა მიმართ არსებული საჩივრების განხილვისთვის დამოუკიდებელი და ეფექტური სისტემის შექმნის აუცილებლობაზე საუბრობს ევროკავშირის სპეციალური მრჩეველი სამართლებრივი რეფორმებისა და ადამიანის უფლებების საკითხებში თომას ჰამერბერგი. 2013 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში იგი ხაზს უსვამს სამართალდამცავთა მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი უწყების შექმნის აუცილებლობას, რათა მოხდეს იმ პრაქტიკის სავალალო შედეგების მინიმალიზაცია, რომლის მიხედვითაც, კოლეგები იძიებენ კოლეგების საქმეებს.³ ანალოგიური შინაარსის მითითებებია

¹ ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ, № 25091/07, პ.243, 274.

² საქართველოს სახალხო დამცველი, მდგომარეობა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ ორგანოებში, 2015 წ. გვ. 13.

³ Hammarberg, GEORGIA IN TRANSITION Report on the human rights dimension: background, steps taken and remaining challenges, p 22

ასევე ევროპის სამეზობლო პოლიტიკის პროგრამის ფარგლებში საქართველოსთვის გაცემულ რეკომენდაციებში.⁴ სამართალდამცავი ორგანოების ანგარიშვალდებულების და მათზე დემოკრატიული ზედამხედველობის გაზრდა, პოლიციისა და პროკურორების წინააღმდეგ საჩივრებზე რეაგირებისთვის პროფესიონალური, ეფექტიანი, სრულფასოვანი და დამოუკიდებელი მექანიზმის შექმნა საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების დღის წესრიგით ნაკისრ ვალდებულებას წარმოადგენს.⁵ სამართალდამცავთა მიერ განხორციელებულ სავარაუდო დანაშაულთა გამოძიებისთვის დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის აუცილებლობას უსვამენ ხაზს უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები და სახალხო დამცველი.⁶

2. მეთოდოლოგია

ანგარიშში აღწერილი და გაანალიზებულია 2013 წლიდან დღემდე საიას წარმოებაში არსებული 21 საადვოკატო საქმე. საქმეებში წარმოდგენილია 2016 წლის პირველი ივლისის მდგომარეობით. ანგარიში მომზადდა უშუალოდ საქმის მასალების გაცნობის, მისი მწარმოებელი ადვოკატებისგან საქმის გარემოებების შესახებ მიღებული ინფორმაციის გაანალიზებისა და საქმეებში გამოვლენილი ტენდენციების გამოკვეთის საფუძველზე.

ანგარიშში გაანალიზებული საქმეები შეეხება თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მომხდარ ფაქტებს. კერძოდ, 4 საქმის წარმოება მიმდინარეობს/მიმდინარეობდა თბილისში, 2 - ზუგდიდში, 5 - თელავში, 2 - ბათუმში, 2 - ოზურგეთში, 2 - დუშეთში, 3 - ქუთაისში, ხოლო 1 საქმე - რუსთავში.

ანგარიშში ასახული 19 საქმე შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში მომუშავე სამართალდამცავებს და მათ მიერ განხორციელებულ ქმედებებს, 1 საქმე შეეხება პროკურატურის მუშაკს, ხოლო ერთ საქმეში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები ფიგურირებენ.

საქმეები ძირითადად ეხება პირის დაკავების დროს ცემასა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან

⁴ Implementation of the European Neighbourhood Policy in Georgia Progress in 2014 and recommendations for actions, joint staff working document, http://eeas.europa.eu/enp/pdf/2015/georgia-enp-report-2015_en.pdf, p.7

⁵ Implementation of the European Neighbourhood Policy in Georgia Progress in 2014 and recommendations for actions, joint staff working document, http://eeas.europa.eu/enp/pdf/2015/georgia-enp-report-2015_en.pdf, p.5

⁶ სახალხო დამცველი, 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 10

უფლებამოსილების გადამეტების სხვა ფაქტებს,⁷ ასევე, ჩვენების მიცემის მიზნით, მოწმეზე/ბრალდებულზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის შემთხვევებს.⁸ რამდენიმე შემთხვევაში საქმე შეეხება სავარაუდოდ პოლიციელთა ქმედებების შედეგად პირის გარდაცვალების ფაქტს.⁹ ასევე, დაფიქსირებულია სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ჩადენილი სხვა სავარაუდო კანონდარღვევები, როგორებიცაა: სამსახურებრივი გულგრილობა,¹⁰ დაკავების დროს კანონის დარღვევა,¹¹ თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა¹² და სხვა.¹³

მოცემული ანგარიში შედგება შესავალი ნაწილის, გამოვლენილი მიგნებების, პრობლემების ანალიზისა და რეკომენდაციებისგან. ასევე, ანგარიშს თან ერთვის გაანალიზებული საქმეების მოკლე აღწერილობა.

3. ძირითადი მიგნებები

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმოებაში არსებული 21 საქმის ანალიზის შედეგად, გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- მართალია, ცემის თუ სამართალდამცავთა მხრიდან სხვაგვარი ძალადობის შესახებ მსხვერპლთა მიმართვაზე გამოძიება იწყება, თუმცა, როგორც წესი, მიმდინარეობს არაეფექტურად, რაც გამოიხატება გამოძიების გაჭიანურებასა ან სხვა ხარვეზების არსებობაში.
- შემთხვევათა უმრავლესობაში სამართალდამცავთა მხრიდან ჩადენილი დანაშაულების მსხვერპლებს დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე უარი ეთქვათ.
- სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მხრიდან ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლებს, მათ მიმართ განხორციელებული დანაშაულის გამოძიების საქმეზე, როგორც წესი, მხოლოდ მოწმის სტატუსი აქვთ და, შესაბამისად, ხელი არ მიუწვდებათ საქმის გამოძიებასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე.

⁷ იხ. დანართში მოცემული რ.პ-ს, გ.კ-ს, შ.ზ-ს, გ.თ-ს, ნ.ბ-ს, ე.პ-ს, თ.გ-ს, თ.მ-ს და გ.ვ-ს, პ.კ-ს, ლ.შ-ს, ვ.ლ-სა და გ.ს-ს საქმეები

⁸ იხ. დანართში მოცემული ე.თ-ს, ნ.ბ-ს, თ.გ-ს და მ.მ-ს საქმეები

⁹ იხ. დანართში მოცემული დ.კ-ს, ლ.ა-ს, გ.კ-ს, ს.ჯ-სა და მ.მ-ს საქმეები

¹⁰ იხ. დანართში მოცემული ს.ჯ-ს საქმე

¹¹ იხ. დანართში მოცემული ვ.ლ-სა და რ.პ-ს საქმეები

¹² იხ. დანართში მოცემული თ.გ-ს საქმე

¹³ იხ. დანართში მოცემული ბ.კ-სა და რ.ჯ-ს საქმეები

- პირები, რომლებიც აცხადებენ, რომ დაექვემდებარნენ სამართალდამცავთა მხრიდან ცემას ან სხვა სახის არასათანადო მოპყრობას, რიგ შემთხვევაში, სამართალდამცავთათვის წინააღმდეგობის გაწევისა და დაუმორჩილებლობის მოტივით, თავადვე ხდებიან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტები, ხოლო რამდენიმე შემთხვევაში მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნაც დაიწყო.
- სამართალდამცავებისთვის წინააღმდეგობის გაწევის თაობაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თუ სისხლისსამართლებრივი ბრალდების საქმის განხილვისას, რიგ შემთხვევებში, არ ხდება ფაქტების სათანადოდ გამოკვლევა და გადაწყვეტილება ხშირად მხოლოდ პოლიციელთა იდენტურ ჩვენებებს ეფუძნება.
- პოლიციელთა მიერ მიცემული ჩვენება, როგორც წესი, სასამართლოში სარგებლობს ნდობის მაღალი სტანდარტით და მათი სანდოობა სასამართლოს მხრიდან ეჭვის ქვეშ, ძირითადად, არ დგება.

4. პრობლემების ანალიზი

4.1. სამართალდამცავთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე არაეფექტური გამოძიების წარმოება

ანგარიშში წარმოდგენილი საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ ცემის თუ სამართალდამცავთა მხრიდან სხვაგვარი ძალადობის მსხვერპლთა მიმართეაზე, მართალია, იწყება გამოძიება, თუმცა, როგორც წესი, აღნიშნული გამოძიება არაეფექტურად მიმდინარეობს. არაეფექტურობა გამოიხატება როგორც გამოძიების არაგონივრულად გაჭიანურებაში, ასევე, საგამოძიებო პროცესში სხვა ხარვეზების არსებობაში.

შეიძლება ითქვას, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის იმ საქმეებიდან, რომლებიც ანგარიშშია მოცემული, 9 საქმეზე გამოძიების გაჭიანურებას აქვს ადგილი,¹⁴ 3 საქმეზე იკვეთება არაეფექტური გამოძიების სხვა ნიშნები,¹⁵ 1 საქმეზე ადგილი ჰქონდა გაჭიანურებულ გამოძიებას, ასევე, იკვეთებოდა არაეფექტური გამოძიების სხვა ნიშნები,¹⁶ ხოლო 1 საქმეში ორ სხვადასხვა ფაქტზე ჩატარებული გამოძიებიდან ერთ შემთხვევაში გამოძიება წარიმართა ეფექტურად,

¹⁴ იხ. დანართში მოცემული რ.პ-ს, შ.ზ-ს, გ.თ-ს, ლ.ა-ს, გ.კ-ს, ე.ძ-ს, თ.გ-ს, ვ.ლ-სა და გ.ს-ს საქმეები.

¹⁵ იხ. დანართში მოცემული ლ.შ-ს, დ.კ-სა და რ.პ-ს საქმეები.

¹⁶ იხ. დანართში მოცემული მ.მ-ს საქმე.

ხოლო მეორე შემთხვევაში - არაეფექტურად.¹⁷ 2016 წელს დაწყებული გამოძიებებიდან 2 შემთხვევაში გამოძიების ეფექტურობა არ შეგვიფასებია იმის გამო, რომ გამოძიების დაწყებიდან გასულია მცირე დრო და, ამასთან, ხელი არ მიგვიწვდება ინფორმაციაზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ.¹⁸ რაც შეეხება დანარჩენ 5 საქმეს, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით, ამ საქმეებში სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების საკითხი არ დამდგარა.¹⁹

უფრო კონკრეტულად რომ განვიხილოთ, ანგარიშში წარმოდგენილ საქმეთაგან სამში, კერძოდ, გ.ს-ს, მ.მ-სა და ვ.ლ-ს საქმეებზე გამოძიება დაიწყო 2013 წელს. აქედან ერთი საქმე - კერძოდ, მ.მ-ს საქმე - შეწყდა 2016 წლის მარტში, ხოლო გ.ს-ს და ვ.ლ-ს საქმეზე დღემდე მიმდინარეობს გამოძიება. ასევე, აღსანიშნავია რ.პ-ს საქმე, რომლის განცხადების საფუძველზე გამოძიება დაიწყო 2014 წელს, თუმცა, დღემდე არავითარი შედეგი არ დამდგარა. წარმოდგენილ საქმეთაგან 7 შემთხვევაში, გამოძიება 2015 წელს დაიწყო, თუმცა, არც სისხლისსამართლებრივი დევნა, არც დაზარალებულ პირთათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება ან საქმეზე სხვაგვარი შედეგის დადგომა არ მომხდარა.²⁰ ანგარიშში წარმოდგენილ საქმეთაგან მხოლოდ ერთში - ს.ჯ-ს განზრახ მკვლელობის საქმეში - მოხდა როგორც გამოძიების დროული წარმოება, ასევე, სასამართლოსთვის საქმის გადაცემა, რომელმაც, თავის მხრივ, სამართალდამცავი პირი დამნაშავედ ცნო და შესაბამისი სასჯელი განუსაზღვრა. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ, მართალია, ს.ჯ-ს მკვლელობის საქმე დროულად დასრულდა, მაგრამ მის საქმეზე გამოკვეთილი სხვა სავარაუდო დანაშაულის გამოძიება (სამსახურებრივი გულგრილობა) 2015 წლიდან მოყოლებული მიმდინარეობს ისე, რომ რაიმე შედეგი არ დამდგარა.

ზემოაღნიშნული ვადები დანაშაულის გამოძიებისათვის არაგონივრულია და, თავისთავად, მინიშნებს გამოძიების არაეფექტურობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ შემთხვევებში გამოძიების დაწყებიდან გასულია 1, 2 და, ზოგ შემთხვევაში, 3 წელიც კი, გამოძიებას რაიმე კონკრეტული შედეგი არ მოჰყოლია და სავარაუდო დამნაშავე პირების ვინაობა არ გამოკვეთილა.

აღსანიშნავია ლ.შ-ს საქმე, რომელზეც, მართალია, გამოძიება დაიწყო 2014 წლის იანვრის თვეში და კონკრეტული შედეგი დადგა საკმაოდ მცირე დროში, კერძოდ, 2014 წლის მარტში, თუმცა, მსგავსი სწრაფი რეაგირება ვერ ჩაითვლება ეფექტურ გამოძიებად. საქმე ის არის, რომ

¹⁷ იხ. დანართში მოცემული ს.ჯ-ს საქმე.

¹⁸ იხ. დანართში მოცემული ბ.კ-სა და გ.კ-ს საქმეები.

¹⁹ იხ. დანართში მოცემული ე.თ-ს, ნ.ბ-ს, ლ.ხ-ს და მ.გ-ს, რ.ჯ-ს, თ.მ-ს და გ.ვ-ს საქმეები.

²⁰ იხ. დანართში მოცემული გ.თ-ს, ლ.ა-ს, გ.კ-ს, ე.მ-ს, შ.ზ-ს, თ.გ-სა და ს.ჯ-ს საქმეები.

დამდგარი შედეგი გამოიხატა გამოძიების შეწყვეტაში, მაშინ როდესაც საგამოძიებო ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ იყო გათვალისწინებული გარკვეული მტკიცებულებები, მოწმეთა ჩვენებებში არსებული წინააღმდეგობები და სხვა გარემოებები, რომელთა გათვალისწინების პირობებშიც, შეიძლებოდა, სრულიად სხვაგვარი შედეგი დამდგარიყო.

რაც შეეხება არაეფექტური გამოძიების სხვა ნიშნებს, ამ მხრივ, საინტერესოა დ.კ-ს საქმე. ველოსიპედით გზაზე მიმავალ დ.კ-ს სავარაუდოდ ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფი პოლიციის თანამშრომელი ავტომანქანით დაეჯახა. დ.კ. შეჯახების დროს მიღებული დაზიანებების შედეგად, შეჯახების ფაქტიდან 28-ე დღეს გარდაიცვალა. გამოძიება თავდაპირველად დაიწყო არასწორი კვალიფიკაციით, მიუხედავად იმისა, რომ თავიდანვე შესაძლებელი იყო საქმისთვის სწორი მსვლელობის მიცემა. ადგილი ჰქონდა ავტოსაგზაო შემთხვევას (დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 276-ე მუხლით), ხოლო გამოძიება დაიწყო ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების კვალიფიკაციით (დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 118-ე მუხლით), რამაც გამოიწვია გარკვეული საგამოძიებო მოქმედებების დაგვიანებით წარმოება და, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი მტკიცებულებების განადგურება.

არაეფექტური გამოძიების ნიშნები იკვეთება ასევე მ.მ-ს საქმეზე იმ კუთხით, რომ გამოძიება დაიწყო და დაახლოებით 1 თვე აწარმოვა არაუფლებამოსილმა ორგანომ. ვინაიდან მ.მ-ს საქმეზე, სავარაუდოდ, იკვეთებოდა პოლიციელების დანაშაულებრივი ქმედება, გამოძიება უნდა ჩატარებინა არა შინაგან საქმეთა სამინისტროს, ანუ იმ უწყებას, რომლის სისტემაშიც, სავარაუდოდ, ჩადენილი იყო დანაშაული, არამედ პროკურატურას. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 7 ივლისის №34 ბრძანების („სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარობის განსაზღვრის თაობაზე“) დანართის („სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარობა“) მე-2 პუნქტის თანახმად, პოლიციელის მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე საქმე პროკურატურის გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარობას განეკუთვნება. აღნიშნულ საქმეზე შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო სამმართველოს მიერ გამოძიების წარმოება და გავრცელებული წინასწარი შეფასებები დანაშაულის ნიშნების არარსებობის შესახებ, საეჭვოს ხდის წარმართული გამოძიების დამოუკიდებლობას, ეფექტიანობასა და სანდოობას. ასევე აღსანიშნავია, რომ მ.მ-ს საქმეზე გამოძიება 2016 წლის მარტში ისე შეწყდა, რომ არ მომხდარა გარდაცვლილის ოჯახის მიერ მითითებული მოწმის დაკითხვა, რომელმაც სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ნახა მ.მ. და რომელიც, სავარაუდოდ, გამოძიებისთვის

მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობდა. ასევე, პროკურატურის მიერ არ დაკითხულან ის პოლიციელები, რომლებმაც უშუალოდ მოახდინეს მ.მ-ს სამმართველოში გადაყვანა და დაკითხვა.

ასევე აღსანიშნავია პ.კ-ს საქმე, რომელზეც დაზარალებულის და მისი ადვოკატების არაერთი მიმართვის შემდეგ, მართალია, მოხდა კონკრეტული პირისთვის ბრალის წარდგენა და პ.კ-სთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება, თუმცა, ამ შემთხვევაშიც, არ ყოფილა გამოძიება სრულყოფილი და ეფექტური, ვინაიდან გამოძიების ინტერესების მიღმა დარჩა და სამართლებრივი შეფასება არ მისცემია მომჩივნისთვის მიყენებულ მძიმე დაზიანებას. ასევე, გამოძიების შედეგად გამოვლინდა მხოლოდ ერთი პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, მაშინ როცა, დაზარალებულის განცხადებით, მას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა პოლიციის ორმა თანამშრომელმა.

მართალია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არ განსაზღვრავს სისხლის სამართლის საქმის გამოძიების კონკრეტულ ვადას, თუმცა, აღნიშნავს, რომ გამოძიება უნდა მიმდინარეობდეს გონივრულ ვადაში.²¹ ის, თუ რა იგულისხმება ვადის გონივრულობაში, უნდა განისაზღვროს ინდივიდუალურად, საქმის გარემოებებზე დაყრდნობით და იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად ეფექტიანად და პრიორიტეტულად მოხდა სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების წარმართვა, ხომ არ შეყოვნდა გამოძიება საგამოძიებო ორგანოების უმოქმედობის საფუძველზე.

როცა საქმე ეხება სხეულის დაზიანებას, გამოძიების ეფექტურად წარმართვისთვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქმის დროულად გამოძიებას, ვინაიდან, დროთა განმავლობაში, დანაშაულის კვალი ქრება და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვება შეუძლებელი ხდება. მსგავს შემთხვევებში, გამოძიების დროულად წარმოების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა, რომ დაგვიანებით დაწყებული გამოძიება შეუთავსებელია გამოძიების დროულად ჩატარების ვალდებულებასთან, ვინაიდან არსებობს რისკი, რომ დროსთან ერთად არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული სამხილები გაქრება და დაზიანებები მოშუშდება.²² სასამართლომ საქმეზე „ღარიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ ყურადღება გამამხვილა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან, არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით, სწრაფი გამოძიების წარმართვის

²¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 103.

²² მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, N 18996/06, პ.78

აუცილებლობაზე. გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ გამოძიება უნდა იყოს სწრაფი და შესაბამისმა ორგანოებმა სათანადო დროში უნდა მოახდინონ რეაგირება წამოყენებულ საჩივრებთან მიმართებით.²³

ასევე, საქმეზე „ენუქიძე-გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო განმარტავს, რომ გამოძიება უნდა წარიმართოს ეფექტიანად, რაც ნიშნავს, რომ მის საფუძველზე შესაძლებელი უნდა გახდეს შესაბამისი ფაქტების დადგენა, დამნაშავე პირების გამოვლენა და დასჯა. ნებისმიერი ხარვეზი გამოძიებაში, რომელიც ძირს უთხრის მის უნარს, დაადგინოს საქმის გარემოებები ან დანაშაულის ჩამდენი პირი, იმის მანიშნებელია, რომ არ იყო უზრუნველყოფილი ეფექტიანობის სათანადო ხარისხი.²⁴

4.2. დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე დაუსაბუთებლად უარის თქმა

16 საქმიდან, სადაც იდგა პირის დაზარალებულად ცნობის საკითხი, 15 შემთხვევაში, სამართალდამცავთა მხრიდან ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების მსხვერპლებს გამოძიების პროცესში დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე უარი ეთქვათ.²⁵ დანარჩენი 5 საქმიდან 3 საქმეში წარმოვადგენდით ბრალდებულის ინტერესებს და არ წარმოვადგენდით დაზარალებულ მხარეს.²⁶ ხოლო, ორ საქმეზე პირს არ მიუმართავს საგამოძიებო ორგანოსთვის გამოძიების დაწყების მოთხოვნით.²⁷

ზემოაღნიშნული 15 საქმიდან, რომლებზეც პირებს უარი ეთქვათ დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე, საიას მოსაზრებით, 11 საქმეზე არსებობდა საკმარისი საფუძველი პირის დაზარალებულად ცნობისათვის,²⁸ თუმცა, სტატუსის მინიჭებაზე პირს დაუსაბუთებლად ეთქვა უარი. რაც შეეხება დანარჩენ 4 საქმეს, არ ვფლობთ ინფორმაციას, თუ რა ტიპის საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა საქმეზე და რა გარემოებები დადგინდა, შესაბამისად, არ გვაქვს საკმარისი ინფორმაცია იმის შესაფასებლად, უნდა მომხდარიყო თუ არა პირის

²³ ღარიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, № 118030/03, პ.63

²⁴ Ogur v. Turkey, N 21594/93, § 88; ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ, № 25091/07, პ.242.

²⁵ იხ. დანართში მოცემული დ.კ-ს, ბ.კ-ს, რ.პ-ს, გ.კ-ს, შ.ზ-ს, გ.თ-ს, ლ.ა-ს, გ.კ-ს, ე.მ-ს, თ.გ-ს, ს.ჯ-ს, ლ.შ-ს, ვ.ლ-ს, მ.მ-ს და გ.ს-ს საქმეები.

²⁶ იხ. დანართში მოცემული ნ.ბ-ს, ლ.ხ-ს და მ.გ-ს, თ.მ-სა და გ.ვ.ს საქმეები.

²⁷ იხ. დანართში მოცემული ე.თ-ს და რ.ჯ-ს საქმეები.

²⁸ იხ. დანართში მოცემული დ.კ-ს, რ.პ-ს, გ.კ-ს, გ.თ-ს, ლ.ა-ს, გ.კ-ს, ს.ჯ-ს, ლ.შ-ს, ვ.ლ-ს, მ.მ-სა და გ.ს-ს საქმეები.

დაზარალებულად ცნობა.²⁹

დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმა განსაკუთრებით პრობლემურია იმ საქმეებში, რომლებიც ეხება პირის გარდაცვალების ფაქტს. ასეთ შემთხვევებში, ორმაგად მნიშვნელოვანია გარდაცვლილის ოჯახის წევრისთვის დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსის დროულად მინიჭება, რათა ამ უკანასკნელს ხელი მიუწვდებოდეს ინფორმაციაზე გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.

მ.მ-ს საქმეში არ მომხდარა გარდაცვლილის ახლო ნათესავის დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობა, მაშინ როცა მსხვერპლმა თავი მოიკლა შსს-ში დაკითხვიდან მეორე დღეს, ხოლო ექსპერტიზის დასკვნის შედეგად ამ უკანასკნელის გვამზე დაფიქსირდა დაზიანება, რომლის მიღების დრო შეესაბამებოდა პოლიციაში ყოფნის დროს. მიუხედავად აღნიშნულისა, ვინაიდან არცერთი ახლო ნათესავი დაზარალებულის უფლებამონაცვლედ არ იყო ცნობილი, გარდაცვლილის ოჯახის წევრები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, გაასაჩივრონ დადგენილება გამოძიების შეწყვეტის შესახებ, რადგან ამის უფლება კანონმდებლობით მხოლოდ დაზარალებულს აქვს მინიჭებული.³⁰

საყურადღებოა ლ.ა-ს საქმე, რომელსაც პოლიციის განყოფილებაში, ნარკოლოგიური შემოწმების მიზნით, დაალევიან 3 აბი ძლიერი შარდმდენი საშუალება, ხოლო ამის შემდეგ მცირე ხანში იგი გარდაიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება 2015 წლიდან მიმდინარეობს, ლ.ა-ს მეუღლე დღემდე არ არის ცნობილი დაზარალებულად, შესაბამისად, ის არ ფლობს ინფორმაციას იმის თაობაზე, როგორ მიმდინარეობს გამოძიება მისი მეუღლის გარდაცვალების ფაქტზე.

მსგავსი პრობლემა იკვეთება დ.კ-ს საქმეზეც. ველოსიპედით სახლისკენ მიმავალ დ.კ-ს ავტომობილით დაეჯახა სავარაუდოდ ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფი პოლიციის თანამშრომელი. ამ შეჯახების დროს მიღებული დაზიანებების შედეგად, დ.კ 28 დღეში გარდაიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ საქმეზე არის როგორც პოლიციელის აღიარებითი ჩვენება, ასევე, ჩატარებულია სხვადასხვა საგამომძიებო მოქმედება, დ.კ-ს ოჯახის არცერთი წევრი არ არის ცნობილი დაზარალებულის უფლებამონაცვლედ.

განსაკუთრებით საგულისხმოა გ.კ-ს საქმე, სადაც საპატრულო პოლიციის დადევნებით შეშინებული 15 წლის მოზარდი ავარიში მოყვა, რამაც მისი გარდაცვალება გამოიწვია. ოჯახის განცხადებით,

²⁹ იხ. დანართში მოცემული ბ.კ-ს, შ.ზ-ს, ე.მ-სა და თ.გ-ს საქმეები.

³⁰ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 106 (1^ა)

პოლიციის თანამშრომლებმა გარდაცვლილი შემთხვევის ადგილზე მომაკვდავი მიატოვეს. გ.კ-ს საქმეზე მისი ოჯახის არცერთი წევრი არ არის ცნობილი დაზარალებულის უფლებამონაცვლედ.

დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის პრობლემა იკვეთება დარჩენილ 7 საქმეზეც, რომელთაგან უმეტესობაში, დანაშაულის მსხვერპლთათვის მიყენებული დაზიანებების შესახებ ექსპერტიზის დასკვნებისა თუ სხვა მტკიცებულებების არსებობის მიუხედავად, არ ხდება დაზარალებულის სტატუსის მინიჭება.³¹

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, დაზარალებული არის ის ფიზიკური თუ იურიდიული პირი, აგრეთვე სახელმწიფო, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად.³² ქართული კანონმდებლობის მიხედვით, იმისთვის, რომ დანაშაულის მსხვერპლმა ისარგებლოს საპროცესო კოდექსით მინიჭებული უფლებებით, პროკურორმა, თავისი დადგენილებით, იგი დაზარალებულად უნდა ცნოს. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებს პირი, ისარგებლოს ისეთი უფლებით, როგორცაა გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიღებისა და სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის უფლება, ასევე, გამოძიების შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილებების გასაჩივრება. თუ პროკურორი დანაშაულის მსხვერპლს უარს ეტყვის დაზარალებულად ცნობის მოთხოვნაზე, ამ უკანასკნელს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს და გაასაჩივროს დაზარალებულად ცნობაზე უარი მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის საქმეზე.³³

ვინაიდან სამართალდამცავების მხრიდან განხორციელებული ცემისა თუ არასათანადო მოპყრობის საქმეებზე გამოძიება ძირითადად დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით, რაც გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას, რომელიც არ წარმოადგენს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს, აღნიშნული დანაშაულების მსხვერპლებს, ფაქტობრივად, არ რჩებათ სამართლებრივი ბერკეტი, სასამართლოს წინაშე იდავონ დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე.

აღნიშნული სტატუსის გარეშე მსხვერპლი, ფაქტობრივად, უუფლებოდ რჩება. მას ხელი არ მიუწვდება გამოძიებასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე. შესაბამისად, მისთვის სრულიად უცნობია საქმის მასალები, არ მოეპოვება ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ეტაპზეა გამოძიება, ჩატარდა თუ არა სათანადო საგამოძიებო მოქმედებები, ანდა არის თუ არა გამოძიება აქტიურ ფაზაში.

³¹ იხ. დანართში მოცემული ბ.კ-ს, გ.კ-ს, გ.თ-ს, თ.გ-ს, ვ.ლ-ს, გ.ს-ს და რ.კ-ს საქმეები.

³² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 3(22)

³³ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 56 (5)

შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, დანაშაულის მსხვერპლნი სარგებლობენ გარკვეული უფლებებით სისხლის სამართალწარმოების პროცესში, რაც გულისხმობს მათ მიმართ თანაგრძნობით მოპყრობის უფლებას, მათ შორის, ღირსების პატივისცემას³⁴ და გამოძიების მიმდინარეობის პროცესში ჩართულობას იმ დოზით, რაც აუცილებელია მათი კანონიერი ინტერესების დასაცავად.³⁵

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ საქმეში განმარტავს დანაშაულის მსხვერპლთა უფლებებისა და ინტერესების სათანადოდ დაცვის აუცილებლობას. დანაშაულის მსხვერპლებს უფლება აქვთ, ხელი მიუწვდებოდეთ ინფორმაციაზე სამართალწარმოებაში მათი როლისა და სისხლის სამართლის საქმის ფარგლების, ვადებისა და მიმდინარეობის თაობაზე, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება მძიმე დანაშაულს. კერძოდ, უფლება აქვთ, იცოდნენ სისხლისსამართლებრივი დევნის ან ამგვარ დევნაზე უარყოფითი გადაწყვეტილების თაობაზე, იცოდნენ გასაჩივრების ან გასაჩივრებაზე უარის გადაწყვეტილების შესახებ და ხელი მიუწვდებოდეთ საქმის მასალებზე.³⁶

4.3. სამართალდამცავთა მხრიდან სავარაუდოდ განხორციელებული დანაშაულის მსხვერპლთათვის ადმინისტრაციული/სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება

პირებს, რომლებიც აცხადებენ, რომ დაექვემდებარნენ სამართალდამცავთა მხრიდან ცემას ან სხვა სახის არასათანადო მოპყრობას, ხშირია შემთხვევა, როცა პოლიცია აკავებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე, რაც პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას ან მის მიმართ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებას გულისხმობს. ზოგიერთ შემთხვევაში კი, ხდება მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის ბრალდებით, რომელიც ითვალისწინებს წინააღმდეგობას, მუქარას ან ძალადობას საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ.

³⁴ Article 4, UN Declaration on Victims of Crime.

³⁵ Hugh Jordan v the United Kingdom, ECtHR judgment of 4 May 2001, appl. no. 24746/94, §109.

³⁶ Kelly and Others v. the United Kingdom, №30054/96, 4 August, 2001, § 118-136; Gorou v. Greece, №12686/03, 20 May, 2009, § 36-42.

მოცემული პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციული თუ სისხლისსამართლებრივი წესით პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებისას, ხშირ შემთხვევაში, ხდება ფაქტების არასათანადო გამოკვლევა და პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ პოლიციელთა ჩვენებების საფუძველზე. ხოლო, სასამართლო, როგორც წესი, უპირობო ნდობას უცხადებს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის ჩვენებას და თითქმის ყველა შემთხვევაში იზიარებს.³⁷

ანგარიშში წარმოდგენილ საქმეთაგან ადმინისტრაციულ წესით დაკავება და 173-ე მუხლის საფუძველზე ჯარიმის დაკისრება მოხდა 4 შემთხვევაში,³⁸ ხოლო სსკ-ის 353-ე მუხლით სისხლისსამართლებრივი დევნა განხორციელდა 2 შემთხვევაში.³⁹ ასევე აღსანიშნავია ანგარიშში წარმოდგენილი ორი საქმე, რომელთაგან, ერთ შემთხვევაში, მოხდა პირის სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლით ბრალდება, რაც გულისხმობს ცრუ დასმენას,⁴⁰ ხოლო მეორე შემთხვევაში - სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით ბრალდება, რაც გულისხმობს ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას.⁴¹

აღსანიშნავია, პ.კ-ს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, რომელზეც სასამართლოს გადაწყვეტილება დაეფუძნა მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და დაკავების ოქმებს და ოქმის შემდგენის ახსნა-განმარტებას. სასამართლომ არ გაიზიარა პ.კ-ს პოზიცია მხოლოდ იმ მოტივით, რომ სავარაუდოდ დამრღვევი პირი, უმეტეს შემთხვევაში, ცდილობს პასუხისმგებლობისგან თავის არიდებას. პარალელურად, მოსამართლემ აშკარად დიდი ნდობა გამოხატა დამკავებელი პოლიციელის სიტყვების მიმართ იმ მოტივით, რომ იგი წარმოადგენდა პროფესიული უნარ-ჩვევების მქონე პირს, რომელსაც ფაქტების ადეკვატურად შეფასება შეუძლია. ასევე აღსანიშნავია, რომ პ.კ-მ სასამართლო სხდომაზე მოითხოვა მისი დაკავების ამსახველი ვიდეოფირის გამოთხოვნა. სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ პოლიციელთა პასუხს ვიდეოფირის არარსებობის შესახებ და ოფიციალურად არც კი უცდია, აღნიშნული მტკიცებულება საპატრულო დეპარტამენტიდან გამოეთხოვა, თანაც იმ პირობებში, როდესაც აღნიშნული ვიდეოფირი რეალურად არსებობდა და მისი გამოთხოვნა სხვა დავის ფარგლებში მოხდა.

³⁷ იხ.დანართში მოცემული რ.პ-ს, გ.კ-ს, გ.თ-ს, თ.მ-ს და გ.გ-ს, ვ.ლ-სა და გ.ს-ს, პ.კ-სა და ვ.ლ-ს საქმეები.

³⁸ იხ. დანართში მოცემული გ.კ-ს, გ.თ-ს, პ.კ-სა და გ.ს-ს საქმეები.

³⁹ იხ. დანართში მოცემული ლ.ხ-ს და მ.გ-ს, თ.მ-ს და გ.ვ-ს საქმეები.

⁴⁰ იხ. დანართში მოცემული ნ.ბ-ს საქმე.

⁴¹ იხ. დანართში მოცემული ვ.ლ-ს საქმე.

ასევე აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ საქმეთაგან ორში - კერძოდ, გ.კ-ს და გ.ს-ს შემთხვევაში - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას პასუხისგებაში მიცემულმა პირებმა, მართალია, დაადასტურეს სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, თუმცა, მოგვიანებით, ისინი ირწმუნებოდნენ, რომ აღნიშნული არ შეესაბამებოდა სიმართლეს და განპირობებული იყო სხვადასხვა ფაქტორით. მიზეზად ისინი ასახელებდნენ იმას, რომ არ ჰყავდათ ადვოკატები, იმყოფებოდნენ დიდი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ, იყვნენ შეშინებულები და დაბნეულები, რაც იყო მათ მიმართ სამართალდამცავების მხრიდან განხორციელებული ცემისა და სხვაგვარი ძალადობის შედეგი. მნიშვნელოვანია, რომ, მსგავს შემთხვევებში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველმა მოსამართლემ, სათანადო კითხვების დასმისა თუ მხარეთაგან მტკიცებულებების მოპოვების გზით, სრულად და ობიექტურად გამოიკვლიოს საქმის გარემოებები და მხოლოდ დამრღვევი პირების აღიარება არ ჩათვალოს საკმარის მტკიცებულებად. მოცემულ საქმეებში ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრა მოხდა სავარაუდოდ დამრღვევი პირების აღიარებისა და საქმეში წარმოდგენილი ორი მტკიცებულების - დაკავების ოქმისა და დამკავებლის სიტყვიერი ახსნა-განმარტების - საფუძველზე.

დადებითად უნდა აღინიშნოს გ.თ-ს საქმე, რომელშიც პირველი ინსტანციის მოსამართლემ სრულყოფილად და სათანადოდ გამოიკვლია სამართალდარღვევის საქმის მასალები. მან მხარეებსა და მოწმეებს დაუსვა შესაბამისი კითხვები, რომელთა საფუძველზეც გამოიკვლია მთელი რიგი წინააღმდეგობები და ხარვეზები. შედეგად, მოსამართლემ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე შეწყვიტა. თუმცა, ამის საპირისპიროდ, სააპელაციო სასამართლომ გააუქმა აღნიშნული გადაწყვეტილება და გ.თ. ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო.

მსგავსი ვითარებაა სისხლის სამართლის საქმეებზე. მაგალითად, თ.მ-სა და გ.ვ-ს საქმეში წარმოდგენილი იყო მხოლოდ 4 პოლიციელისა და დაზარალებულის ჩვენება, რომელიც ასევე სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელია, თუმცა, სასამართლომ სრულიად საკმარისად ჩათვალა ზემოაღნიშნული პირების ჩვენებები, არ გაიზიარა დაცვის მხარის მტკიცებულებები და ბრალდებულები დამნაშავედ ცნო. ასევე, აღნიშნულ განაჩენში მოხდა ბრალდების დამადასტურებელ ისეთ მტკიცებულებებზე მითითება, რომლებიც წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ დაუშვებლად იყო ცნობილი.

ასევე აღსანიშნავია რ.პ-ს სისხლის სამართლის საქმე, სადაც სასამართლომ დიდი ნდობა გამოხატა პოლიციელ მოწმეთა ჩვენებებისადმი და მიუთითა, რომ პოლიციელებს გაცნობიერებული აქვთ თავიანთი საზოგადოებრივი და მოქალაქეობრივი ვალი და პოლიციელი ჩვენებას

იძლევა არა უფლების, არამედ თავისი მორალური და იურიდიული ვალდებულების გამო, რომლის დარღვევა გამოიწვევს მის მიმართ სახელმწიფო იძულების ზომების გამოყენებას. აქვე აღსანიშნავია, რომ რ.პ-ს ბრალდების საქმის სააპელაციო წესით განხილვისას, გამოჩნდა ახალი მოწმე, რომელიც აცხადებდა, რომ რ.პ-სთვის წარდგენილი დანაშაული თავად ჩაიდინა. თუმცა, სასამართლომ აღნიშნული მოწმე საქმეზე არ დაუშვა.

ასევე აღსანიშნავია ლ.ხ-ს და მ.გ-ს სისხლის სამართლის საქმე, სადაც პროკურატურის მიერ წარდგენილი ბრალი მთლიანად ეფუძნება გარემოს დაცვის ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომელთა ჩვენებებს, იგნორირებულია როგორც ბრალდებულების, ასევე, სხვა მოწმეების ჩვენებები და საქმეში არსებული დანარჩენი მტკიცებულებები.

დაუსაბუთებელი ბრალდების პრობლემა იკვეთება ვ.ლ-ს საქმეზეც, სადაც სასამართლოში ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ ძირითად მტკიცებულებას წარმოადგენს დაზარალებულის ჩვენება, რომელიც ყოფილი პოლიციელია. აღსანიშნავია, რომ ვ.ლ-ს ბრალი ედება დაზარალებული პირისთვის ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების მიყენებაში, თუმცა, საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნების მიხედვით, ვ.ლ-ს სხეულზე არსებული დაზიანებები დაზარალებულის დაზიანებებზე ბევრად უფრო მძიმე ხარისხისაა. დადებითად უნდა აღინიშნოს მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე პირველი წარდგენის სხდომის მოსამართლის გადაწყვეტილება, რომელმაც ბრალდებულის დაკავება მიიჩნია უკანონოდ და პირდაპირ მიუთითა, რომ ვერ დაეყრდნობოდა პოლიციელ მოწმეთა ჩვენებებს, რომლებიც იყო საექვო, არადაამაჯერებელი და იმდენად იდენტური, რომ ერთსა და იმავე ორთოგრაფიულ შეცდომებს შეიცავდა.

რა თქმა უნდა, საია აპრიორულად არ გამორიცხავს, რომ სამართალდამცავთა მიმართ უფლებების დარღვევის გამო პრეტენზიის მქონე პირებს, შესაძლებელია, მართლაც ჰქონდეთ ადმინისტრაციული გადაცდომა თუ სისხლის სამართლის დანაშაული ჩადენილი, თუმცა, ანგარიშში მოყვანილი და გაანალიზებული საქმეები იძლევა საფუძვლიან ეჭვს ვარაუდისთვის, რომ ადმინისტრაციული თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სწორედ ფაქტების არასათანადოდ გამოკვლევის შედეგია.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე დამკვიდრებული მსგავსი მანკიერი პრაქტიკა ხელს უშლის შემდგომში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებში ფაქტობრივი გარემოებების სწორად დადგენას. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე სასამართლოს მიერ დაუსაბუთებლად სამართალდამცავისთვის წინააღმდეგობის გაწევის

ფაქტის დადგენა, მომავალში თითქმის შეუძლებელს ხდის პირის დაკავების დროს ჩადენილი დანაშაულის სათანადოდ მტკიცებასა და შესაბამისი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დასაბუთებას.

რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეებს, ამ შემთხვევაში, მოსამართლის მხრიდან ძირითადად პოლიციელთა ჩვენებებისადმი განსაკუთრებული ნდობის გამოცხადება და მხოლოდ მათზე დაყრდნობით განაჩენის გამოტანის პრაქტიკის არსებობა პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასთან, რომლის მიხედვით, არცერთ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.⁴² აღნიშნული მუხლის მიხედვით, ყველა მტკიცებულება ექვემდებარება დასაშვებობის, სარწმუნოების და რელევანტურობის ტესტზე თანაბარ შემოწმებას, მიუხედავად იმისა, ამ მტკიცებულების წყარო პოლიციელია თუ ბრალდებული.

მტკიცებულებათა შეფასებასთან დაკავშირებით ანალოგიური აზრია გატარებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე „მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში გაკრიტიკებულია შიდაეროვნული სასამართლოს მხრიდან არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით მომჩივნის მონათხრობისადმი უნდობლობის, ხოლო პოლიციელების ჩვენებებისადმი, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, განსაკუთრებული ნდობის გამოცხადება. სასამართლომ მიიჩნია, რომ პოლიციელთა ჩვენებების სანდოობა, მსგავს შემთხვევებში, ასევე უნდა დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ.⁴³

5. რეკომენდაციები

საქართველოს პროკურატურას

- სწრაფად და ეფექტურად აწარმოოს სამართალდამცავთა მხრიდან სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულების გამოძიება.
- აღკვეთოს დანაშაულის მსხვერპლთათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე დაუსაბუთებელი უარის პრაქტიკა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსის მინიჭება იმ საქმეებში, სადაც შედეგად დადგა პირის გარდაცვალება.
- უზრუნველყოს სამართალდამცავთა მხრიდან სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა დაინტერესებული პირებისთვის, რათა არ

⁴² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 13 (1)

⁴³ მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, N 18996/06, 3.82

გაჩნდეს ეჭვი გამომძიების მიკერძოებულად და არაობიექტურად წარმართვასთან დაკავშირებით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

- უზრუნველყოს სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობისა და უფლებამოსილების გადამეტების შემთხვევებზე სწრაფი და ეფექტური რეაგირება.
- დაიცვას საგამომძიებო ქვემდებარობის წესები და სამართალდამცავთა მხრიდან სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულებზე გამომძიება დაუყოვნებლივ გადასცეს უფლებამოსილ ორგანოს.

საერთო სასამართლოებს

- გაზარდონ სამართალდამცავთა მხრიდან სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულების საქმეებზე მტკიცების სტანდარტები და გადაწყვეტილების მიღების დროს არ დაეყრდნონ მხოლოდ პოლიციელ მოწმეთა ჩვენებებს.
- არ მიიჩნიონ სამართალდამცავთა ჩვენებები უპირობოდ სანდო მტკიცებულებად.

საქართველოს პარლამენტს

- შეიტანოს ცვლილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამის მუხლებში, რომელთა მიხედვით, დაზარალებულის სტატუსზე უარის თქმის შემთხვევაში, სასამართლოში საჩივრის წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისას და გაავრცელოს მსგავსი რეგულაცია ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულებზეც.
- უზრუნველყოს სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი დანაშაულებისთვის დამოუკიდებელი და ეფექტიანი საგამომძიებო მექანიზმის ჩამოსაყალიბებლად სათანადო სამართლებრივი ბაზის შექმნა.

6. დანართი

6.1. დ.კ-ს საქმე

გ.კ.-ს ნაამბობიდან ირკვევა, რომ ის 2016 წლის 9 თებერვალს მობილურ ტელეფონზე დაუკავშირდა შვილს - დ.კ-ს, რომელმაც განუმარტა, რომ ველოსიპედით მიემართებოდა სახლისაკენ. რამდენიმე წუთში გ.კ-ს საცხოვრებელ სახლს ავტომანქანით მიადგა იმავე სოფელში მცხოვრები სავატრულო პოლიციის თანამშრომლის მ.ჭ. როდესაც გ.კ. გარეთ გამოვიდა, დაინახა ავტომანქანის კართან, მიწაზე უგონოდ მწოლიარე შვილი. პოლიციის თანამშრომელმა გ.კ-ს განუცხადა, რომ მისი შვილი იპოვა გზაზე, ნასვამ მდგომარეობაში, რის შემდეგაც მანქანაში ჩაისვა და სახლში წამოიყვანა.

გ.კ-ს თხოვნით, მისმა ნათესავმა მაშინვე დარეკა 112-ში და აცნობა დ.კ-ს მდგომარეობის შესახებ. რამდენიმე წუთში დ.კ. სასწრაფო დახმარების მანქანამ გადაიყვანა საავადმყოფოში, სადაც 28 დღის განმავლობაში იმყოფებოდა უგონო მდგომარეობაში და სხეულზე მიღებული სხვადასხვა სახის მძიმე დაზიანებების გამო გარდაიცვალა.

გ.კ-ს განმარტებით, მისი ოჯახისთვის ცნობილი გახდა, რომ დ.კ-ს გარდაცვალების შემდგომ პოლიციის თანამშრომელი მ.ჭ გამოცხადდა შსს-ს ზუგდიდის რაიონულ სამმართველოში და განაცხადა, რომ გარდაცვლილს თავისი ავტომანქანით დაეჯახა, რა დროსაც ამ უკანასკნელმა სხეულზე სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, საქმეს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით იძიებს სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურა. საქმეზე მოხდა მ.ჭ-ს და სხვა მოწმეების დაკითხვა, ასევე, დანიშნულია სხვადასხვა სახის ექსპერტიზა, თუმცა, ამის მიუხედავად, გ.კ. დაზარალებულის უფლებამონაცვლედ არ არის ცნობილი.

გ.კ-ს განმარტებიდან დგინდება, რომ ავტოსაგზაო შემთხვევიდან სასწრაფო დახმარების გამოძახებამდე გასულია არაუმეტეს ნახევარი საათისა. მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს ისიც, რომ გარდაცვლილი, რომელიც უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა, პოლიციის თანამშრომელმა მ.ჭ-მ სახლში მიყვანის დროს ავტომანქანიდან გადმოათრია და ეზოში ასევე თრევით შეიყვანა.

შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოსთვის, მომხდარი ფაქტის შესახებ, ცნობილი გახდა 112-ში შესული შეტყობინების შემდეგ. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად გამოძიება დაიწყო და ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით, მაშინ როცა არსებობდა ოჯახის განმარტება ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებით და, ასევე, დ.კ-ს ველოსიპედზე არსებული დაზიანებები ქმნიდა ეჭვის

საფუძველს, რომ სწორედ ავტოსაგზაო შემთხვევას ჰქონდა ადგილი. ვინაიდან თავდაპირველად საქმის გამოძიება წარიმართა არასწორი მიმართულებით, დროულად არ მოხდა შემთხვევის ადგილის დათვალიერება, რამაც, სავარაუდოდ, საქმისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვებას ხელი შეუშალა.

6.2. ბ.კ-ს საქმე

ბ.კ-ს ნაამბობიდან ირკვევა, რომ 2016 წლის თებერვლის თვეში მას სახლში მიაკითხეს საქართველოს შსს-ს ყვარლის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა და სთხოვეს ქუჩაში გასვლა. ბ.კ. რამდენიმე წუთში გავიდა ქუჩაში, სადაც მას დახვდა დამატებით პოლიციის თანამშრომელთა სამი ეკიპაჟი. ეკიპაჟს მოტანილი ჰქონდა „ევაკუატორი“, რომლის საშუალებითაც გადაჰქონდათ ბ.კ-ს კუთვნილი ავტომანქანა. რა თქმა უნდა, ბ.კ. დაინტერესდა, რა იყო მისი ავტომანქანის წაყვანის მიზეზი, თუმცა, სამართალდამცავთა მხრიდან აღნიშნულთან დაკავშირებით არანაირი განმარტება არ მიუღია. მეტიც, მან დღემდე არ იცის ავტომანქანის წაყვანის მიზეზი, თუმცა, ბ.კ. აღნიშნულს მის მიმართ პოლიტიკური ნიშნით დევნას მიაწერს. ამასთან, ბ.კ-ს და მის მეუღლეს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებმა მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. კერძოდ, სამართალდამცავები მათ მიმართავდნენ უცენზურო სიტყვებით, ხოლო ბ.კ-ს მეუღლეს ხელი ჰკრეს, რის გამოც, ჩავარდა ქუჩაში მიმდინარე რუმი და მსუბუქად დაუზიანდა ფეხი.

კახეთის საოლქო პროკურატურაში აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება. ამ ეტაპზე არ მომხდარა არც ვინმესთვის ბრალის წარდგენა და არც ბ.კ-ს დაზარალებულად ცნობა.

6.3. გ.კ-ს საქმე

გ.კ-ს განმარტებით დგინდება, რომ 2016 წლის 27 თებერვლის დამეს მან თავის მეგობარს მიაკითხა ქ. თელავში, მის სამუშაო ადგილას. გ.კ-ს მეგობარი ადგილზე არ დახვდა, ხოლო თანამშრომლების განმარტებით, იგი მახლობლად მდებარე კაფე-რესტორანში იყო, სადაც გამწვავებულ კონფლიქტს ჰქონდა ადგილი. ამის შემდეგ გ.კ. მეგობრის სანახავად აღნიშნული რესტორნისკენ გაეშურა, თუმცა, მითითებულ მისამართზე მას მხოლოდ პოლიციის თანამშრომლები დახვდნენ. მან სამართალდამცავებს ჰკითხა საქმის გარემოებების შესახებ და მეგობარი მოიკითხა, მაგრამ, პასუხის ნაცვლად, პოლიციელებმა მას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, დააკავეს და დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაიყვანეს. მომდევნო

დღეს გ.კ. წარდგენილ იქნა თელავის რაიონულ სასამართლოში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევის ჩადენის ფაქტზე. სასამართლომ სახდელის სახედ მას განუსაზღვრა ჯარიმა 250 ლარის ოდენობით. საქმის მასალების გაცნობის შედეგად დგინდება, რომ სასამართლო გადაწყვეტილება დაეფუძნა საქმეზე მტკიცებულების სახით წარმოდგენილ სამართალდარღვევის ოქმსა და ოქმის შემდგენის განმარტებას. ამასთან, გ.კ. დაეთანხმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, თუმცა, როგორც მოგვიანებით პირად საუბარში განმარტა, მისი აღიარება განპირობებული იყო იმით, რომ მას არ ჰყავდა დამცველი, იყო შეშინებული და დაზაფრული, რის გამოც თავი აარიდა სასამართლოზე სიმართლის თქმას და სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს დაეთანხმა.

საიასთან კონსულტაციის შემდგომ, გ.კ-მ ჩაიტარა სამედიცინო შემოწმება და აიღო ექიმის ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობისა და დაზიანების შესახებ. აღნიშნული ცნობით დასტურდება, რომ გ.კ-ს სხეულზე აღენიშნებოდა დაზიანებები და უჩიოდა ტკივილებს.

დღესდღეობით კახეთის საოლქო პროკურატურაში აღნიშნულ ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება, თუმცა, ვინაიდან, გ.კ. ჯერჯერობით არ არის ცნობილი დაზარალებულად, იგი მოკვლევულია შესაძლებლობას, გაეცნოს საქმის მასალებს და მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობაზე.

6.4. ე.თ-ს საქმე

ე.თ-ს ნაამბობიდან ირკვევა, რომ იგი საქმროსთან ერთად, რომელიც ნიგერიის მოქალაქეა, ცხოვრობს ქ.თბილისში. 2016 წლის იანვარში მისთვის ცნობილი გახდა, რომ მისი საქმროს მიმართ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე, თუმცა, რა მუხლით - ვერ გაარკვია. ე.თ-მ მხოლოდ იმ ინფორმაციის მიღება შეძლო, რომ მის საქმროს გააჩნდა რამდენიმე ყალბი პასპორტი და სწორედ ეს გახდა მის მიმართ გამოძიების დაწყების საფუძველი. გამოძიების პროცესში, საქმრომ საქართველო დატოვა, რის შემდეგაც ე.თ-ს პრობლემები შეექმნა. კერძოდ, მისი განცხადებით, იგი განიცდის ფსიქოლოგიურ ზეწოლას პროკურორის მხრიდან, რომელიც მუქარის შემცველი და შეურაცხმყოფელი ტონით ურეკავს ტელეფონზე და მოითხოვს თანამშრომლობას მისი საქმროს საქმეზე. ე.თ-ს განმარტებით, პროკურორი მას აშინებდა, რომ თუ გამოძიებას არ მიაწოდებდა ინფორმაციას საქმროს ადგილსამყოფლის შესახებ, პროკურორი მასაც წაუყენებდა ბრალს, როგორც თანამონაწილეს. ე.თ-სთვის სრულიად გაუგებარია, რაში გამოიხატება მისი ბრალეულობა ან კონკრეტულად რას ედავებიან მის საქმროს.

6.5. შ.ზ-ს საქმე

მსჯავრდებულ შ.ზ-ს წერილით ირკვევა, რომ 2015 წლის 28 მარტს იგი დააკავეს საქართველოს შსს-ს ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოსა და ქალაქ ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა. დაკავების მომენტში პოლიციის თანამშრომლებმა შ.ზ-ს მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, არ მისცეს ადვოკატის აყვანის და სატელეფონო ზარის განხორციელების უფლება, მარჯვენა ფეხის არეში ცეცხლსასროლი იარაღით მიაყენეს მძიმე დაზიანება და აწამეს ელექტრო შოკით.

ვინაიდან მსჯავრდებულის წერილი შეიცავდა სავარაუდო დანაშაულის ნიშნებს, 2015 წლის მარტის თვეში საიას მიერ ის გადაეგზავნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურასა და საქართველოს შსს-ს გენერალურ ინსპექციას, გამოძიების დაწყების მოთხოვნით.

აღნიშნული წერილის საფუძველზე, აჭარის პროკურატურის საგამომიებო ნაწილში 2015 წლის 02 აპრილს დაიწყო გამოძიება შ.ზ-ს მიმართ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. ამჟამად სისხლის სამართლის საქმეზე კვლავ გრძელდება გამოძიება. შ.ზ. ჯერჯერობით არ არის ცნობილი დაზარალებულად, შესაბამისად, მოკლებულია შესაძლებლობას, გაეცნოს საქმის მასალებს და შეაფასოს გამოძიების მიმდინარეობა.

6.6. გ.თ-ს საქმე

გ.თ-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციით დგინდება, რომ 2015 წლის 2 აგვისტოს იგი, მეგობრებთან ერთად, იმყოფებოდა განმუხურის სანაპიროზე, ერთ-ერთ ღია ბუნგალოში. დაახლოებით 23:00 საათზე მათთან მივიდა სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პოლიციის თანამშრომელი, რომელმაც მოსთხოვა გ.თ-ს და მის მეგობრებს, შეეწყვიტათ დაბადების დღის აღნიშვნა და დაშლილიყვნენ. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო, 2015 წლის 3 აგვისტოს, 00:05 საათზე გ.თ. დააკავეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი განკარგულებისა ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ან ამ პირის მიმართ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელება) მუხლებით გათვალისწინებული ქმედებისთვის.

გ.თ-ს საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოში ორჯერ შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, ვინაიდან არ დადასტურდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის

ფაქტი. თუმცა, საბოლოოდ, ქუთაისის სააკველიციო სასამართლოს მიერ ის ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და დაეკისრა ჯარიმა 250 ლარის ოდენობით. საიას მიერ სასამართლოდან გამოთხოვნილი სასამართლო სხდომის ოქმებით დგინდება, რომ გ.თ-ს საქმეზე მოწმეთა მიერ მიცემული ჩვენებები ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავია. საქმეზე დაიკითხა 5 პოლიციელი, რომელთაგან ყველამ განმარტა, რომ გ.თ-ს დაკავების დროს გამოიყენეს პროპორციული ძალა, თუმცა, კითხვაზე, თუ რას გულისხმობდა პროპორციული ძალა, ვერცერთმა მათგანმა ვერ უპასუხა. ასევე, პოლიციელ მოწმეთა და ერთი არაპოლიციელი მოწმის ჩვენებებს შორის არსებითი წინააღმდეგობაა. პოლიციელები თავად აცხადებდნენ, რომ სამოქალაქო ფორმებში იყვნენ ჩაცმულები, ხოლო მათი მხარის სხვა მოწმე დანამდვილებით ამბობდა, რომ გ.თ-ს დაკავების დროს პოლიციელები სპეციალური ფორმებით, კერძოდ, პოლიციელის ქურთუკით იცნო, რაც, იმის გათვალისწინებით, რომ შემთხვევა აგვისტოს თვეში მოხდა, ნაკლებ დამაჯერებელია. ასევე აღსანიშნავია, რომ 3 პოლიციელი მოწმე და ერთი არაპოლიციელი მოწმე საქმეში მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში გ.თ-ს საქმის ხელახალი განხილვის დროს გამოჩნდნენ და მათ შესახებ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმსა თუ ოქმის შემდგენის ახსნა-განმარტებაში არანაირი მითითება არ ყოფილა. საქმეში ასევე წინააღმდეგობრივია პოლიციელთა ახსნა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოხდა არაპოლიციელი მოწმის მოძიება. მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არის სხვა პრინციპული წინააღმდეგობებიც, სააკველიციო სასამართლომ მაინც გაიზიარა მტკიცებულებები და გ.თ. ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად მიიჩნია.

გ.თ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, კერძოდ, ადმინისტრაციული დაკავების იზოლატორში ჩატარებული გარეგანი დათვალეირებისა და ზუგდიდის რესპუბლიკური საავადმყოფოს პირველადი შემოწმების ოქმებით დგინდება, რომ მას სხეულზე აღნიშნებოდა სხვადასხვა სახის დაზიანებები. საყურადღებოა შემდეგი გარემოება - იმის გამო, რომ გ.თ-ს სხეულზე დაზიანება აღნიშნებოდა, იგი დროებითი მითავსების იზოლატორის ნაცვლად, საავადმყოფოში გადაიყვანეს. ამასთან, მისი მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ იმავე საღამოს ხელმეორედ გამოიძახეს სასწრაფო დახმარების ბრიგადა. ზუგდიდის რეფერალური ჰოსპიტლის ამბულატორიის 2015 წლის 4 აგვისტოს ცნობით, გ.თ-ს აღნიშნებოდა ლავიწის ძვლის ხაზოვანი მოტეხილობა, შეშუპება და მოძრაობის შეზღუდვა მარცხენა მხარის სახსრის არეში. სამედიცინო ცნობაში ასევე აღნიშნული იყო, რომ ავადმყოფობა მიმდინარეობდა მწვავედ და პაციენტი საჭიროებდა ტრავმატოლოგის კონსულტაციას.

2015 წლის 4 აგვისტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო

პროკურატურის საგამომიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება პოლიციის თანამშრომლების მხრიდან გ.თ-ს დაკავებისას სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტებაზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით. პროკურატურის განმარტებით, საქმეზე ჩატარდა გარკვეული საგამომიებო მოქმედებები, მათ შორის, მოწმის სახით დაიკითხა გ.თ. ასევე, დაინიშნა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა, თუმცა, არაერთი მიმართვისა და მოთხოვნის მიუხედავად, გ.თ. დღემდე არ არის ცნობილი დაზარალებულად.

6.7. ლ.ა-ს საქმე

მ.ჯ-ს განმარტებით, 2015 წლის 17 ივნისს მისი მეუღლე ლ.ა. პოლიციელებმა მოტყუებით წაიყვანეს ნარკოლოგიური შემოწმების მიზნით. ვინაიდან ლ.ა-მ ვერ მოშარდა, მას პოლიციის თანამშრომლებმა დააღვეინეს 3 აბი ძლიერი შარდმდენი პრეპარატი. ლ.ა. არ აღმოჩნდა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ და პოლიციელებმა ის გამოუშვეს. სახლში მისულმა ლ.ა-მ მეუღლეს უამბო, რომ პოლიციის შენობაში 3 აბი შარდმდენი დააღვეინეს, რის გამოც თავს შეუძლოდ გრძნობდა. ამის შემდგომ, მალევე, იგი გარდაიცვალა.

აღნიშნულ საქმეზე ქუთაისის რაიონულ პროკურატურაში მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სსკ-ის 115-ე მუხლით. ლ.ა-ს მეუღლე ამ დრომდე არ არის ცნობილი დაზარალებულის უფლებამონაცვლედ და მოწმის სტატუსით სარგებლობს. სიკვდილის მიზეზის დასადგენად დანიშნულია ექსპერტიზა, რომლის პასუხი ჯერ კიდევ არ არის.

6.8. ნ.ბ-ს საქმე

ნ.ბ-ს ნაამბობით ირკვევა, რომ 2015 წლის 16 ოქტომბერს, დაკავების დროს, სიღნაღის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა მას მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. ნ.ბ-ს სიღნაღის რაიონულმა სამმართველომ ბრალი დასდო სსკ-ის 381-ე მუხლის დარღვევაში, რაც გულისხმობს სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობას. როგორც თავად განმარტავს, სასამართლოს განაჩენით მას ჩამორთმეული აქვს მართვის უფლება, ხოლო ბრალდების მხარის ვერსიით, შემთხვევის დღეს იგი დაინახეს ავტომანქანის საჭესთან. თუმცა, ნ.ბ. უარყოფს აღნიშნულს და ამბობს, რომ იგი არ მართავდა მანქანას. ნ.ბ-ს ასევე ბრალი ედება სსკ-ის 373-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში, რაც გულისხმობს ცრუ დასმენას. ნ.ბ-მ კახეთის საოლქო პროკურატურას მიმართა სამართალდამცავთა მხრიდან მასზე განხორციელებული ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტზე. ვინაიდან

აღნიშნულთან დაკავშირებით გამოძიება შეწყდა, მას ბრალი წაეყენა ასევე სამართალდამცავთა მიმართ ცრუ დასმენაში.

ნ.ბ-ს განმარტებით, პოლიცია მის მიმართ მტრულად არის განწყობილი, რისი მიზეზიც არის წარსულში ხულიგნობის ბრალდებაში სასამართლოს მიერ მისი გამართლება. ნ.ბ-ს მტკიცებით, პოლიციამ 2013 წელს, შურისძიების მიზნით, ნარკოტიკული საშუალება „ჩაუღო“, რამაც, საბოლოოდ, 260-ე მუხლის მე-2 ნაწილით მისი მჯავრდება გამოიწვია. სწორედ ამ განაჩენით ჩამოერთვა ნ.ბ-ს ავტომანქანის მართვის უფლება.

ნ.ბ-ს განმარტებით, სამართალდამცავები სისტემატურად იძახებენ მოწმის სახით დაკითხვაზე მის მეგობარს, რომელიც შემთხვევის დღეს მასთან ერთად იმყოფებოდა და მასზე ხორციელდება ზეწოლა. ნ.ბ-ს მტკიცებით, სწორედ ზეწოლის შედეგად მისმა მეგობარმა მისცა ჩვენება, თითქოს სწორედ ნ.ბ. მართავდა მანქანას. როგორც ნ.ბ-ს მონათხრობიდან ირკვევა, აღნიშნული პიროვნება დღემდე ვერ ჩივის მის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით, ვინაიდან ემინია, რომ პოლიციის თანამშრომლები ამას არ აპატიებენ და მომავალში მასაც გადაეკიდებიან.

დღესდღეობით ნ.ბ-ს ბრალდების საქმე სასამართლოში არსებითი განხილვის სტადიაზეა, კერძოდ, ხდება ბრალდების მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევა. რაც შეეხება სამართალდამცავთა მიერ ნ.ბ-სთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს, აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარეობდა გამოძიება, თუმცა, 2015 წლის 10 ნოემბერს იგი შეწყდა დანაშაულის ნიშნების არარსებობის მოტივით.

6.9. ლ.ხ-ს და მ.გ-ს საქმე

ლ.ხ-ს და მ.გ-ს ნაამბობიდან ირკვევა, რომ 2015 წლის 6 ნოემბერს მცხეთის რაიონული პროკურატურის პროკურორის მიერ მათ ბრალი წაეყენათ სსკ-ის 353-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რომელიც გულისხმობს საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლისთვის წინააღმდეგობის გაწევას. ბრალდების ვერსიით, ლ.ხ-მ და მ.გ-მ წინააღმდეგობა გაუწიეს გარემოს დაცვის ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებს.

წარდგენილ ბრალდებაში ბრალდებულები თავს დამნაშავედ არ ცნობენ და აცხადებენ, რომ მათ წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, არამედ გარემოს დაცვის დეპარტამენტის ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლების მხრიდან მათი მისამართით განხორციელდა ძალადობა. ადგილი ჰქონდა როგორც ფიზიკურ შეურაცხყოფას, ასევე, მუქარას იარაღის გამოყენებით. საქმეში წარმოდგენილია

სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები, რომლის მიხედვითაც, ბრალდებულს აღენიშნებათ მსუბუქი ხარისხის დაზიანებები სხეულზე, სისხლჩაქცევებისა და ნაკაწრების სახით. აგრეთვე, საქმეში წარმოდგენილია ვიდეოფირი, რომელზეც ასახულია ინციდენტი. ვიდეო ფირზე ნათლად ჩანს, რომ ინციდენტის ინიციატორები არიან გარემოს დაცვის დეპარტამენტის ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლები და სწორედ ისინი აყენებენ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას ბრალდებულს. ასევე გაურკვეველია, რა სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ გარემოს დაცვის დეპარტამენტის ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლები ინციდენტის დროს და რატომ იმყოფებოდნენ ისინი ინციდენტის ადგილას. ამჟამად საქმე მცხეთის რაიონულ სასამართლოშია და მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა.

6.10. რ.ჯ-ს საქმე

რ.ჯ-ს განმარტებით, 2015 წლის 23 სექტემბერს დღის 09:00-10:00 დროის მონაკვეთში მის საცხოვრებელ სახლში საქართველოს შსს-ს გურიის მთავარი სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა ჩაატარეს ჩხრეკა, რა დროსაც მისი საცხოვრებელი სახლიდან ამოიღეს რ.ჯ-სთვის უცნობი 11 ერთეული ვაზნა. რ.ჯ-ს თქმით, მას ვაზნები „ჩაუდეს“. აღსანიშნავია, რომ საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის დროს დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გარანტირებული უფლებები, კერძოდ: რ.ჯ-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, რ.ჯ-სთვის არ წარუდგენიათ სასამართლოს განჩინება ან გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით ჩხრეკის ჩატარებაზე პროკურორის დადგენილება. მან არც კი იცის, ჩხრეკა სასამართლოს განჩინებით ჩატარდა თუ პროკურორის დადგენილებით. მისთვის ასევე არ განუმარტავთ უფლება, რომ ნებაცხოვრებით შეეძლო გადაეცა ის ნივთები, რომლებიც განჩინებასა თუ დადგენილებაში არის მოხსენიებული. ჩხრეკის დასრულების შემდეგ რ.ჯ-ს ასევე არ გადასცემია ჩხრეკის ოქმი.

საიას ოზურგეთის ოფისის დახმარებით, რ.ჯ-მ განცხადებით მიმართა ოზურგეთის რაიონული სამმართველოს უფროსს და მოითხოვა 2015 წლის 23 სექტემბერს მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის ოქმის ასლი, რომლის გადაცემაზეც უარი მიიღო იმ მოტივით, რომ ჩხრეკის ოქმში ასლის მიღება ხელმოწერით არის დადასტურებული, ხოლო ხელმოწერედ გადაცემა არ მოხდება.

რ.ჯ-ს საქმე დღესდღეობით გამოძიების ეტაპზეა და საქმეში სარგებლობს მოწმის სტატუსით.

6.11. გ.კ-ს საქმე

მოქალაქე გ.კ-ს განცხადებით ირკვევა, რომ 2015 წლის 29 ივნისს სალამოს საათებში მისი შვილიშვილი - 15 წლის გ.კ - ქ.თელავში მოძრაობდა მეგობრის კუთვნილი მოტოციკლით, რა დროსაც მას დაედევნა საპატრულო პოლიცია. როგორც ჩანს, გ.კ. შეშინდა, სწრაფი მოძრაობით შეუხვია ერთ-ერთი სოფლის ამავალ გზაზე და, პოლიციისგან მიმალვის მიზნით, მოტოციკლს გამოურთო შუქები, რის გამოც გზა ველარ დაინახა და შეეჯახა სოფელში გზაზე მდგარ ტრაქტორს. ოჯახის ინფორმაციით, აღნიშნული ფაქტის შემსწრე საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა იგი, დახმარების აღმოჩენის გარეშე, შემთხვევის ადგილზე მიატოვეს. 15 წლის გ.კ. საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. გარდაცვლილის ოჯახმა მედიასაშუალებებს მიაწოდა შემთხვევის ადგილზე მდებარე ერთ-ერთ ობიექტზე დამონტაჟებული ვიდეოკამერის ჩანაწერი, სადაც გარკვევით ჩანს პატრულის გამოდევნების ფაქტი.

გარდაცვლილი გ.კ-ს ოჯახის წევრებს, გამომდინარე იქიდან, რომ საქმე ეხება საპატრულო პოლიციის თანამშრომლების დასჯას, ეჭვი აქვთ, რომ გამოძიება არ წარიმართება ობიექტურად და სრულფასოვნად, რის გამოც, შესაძლოა, დამნაშავე დაუსჯელი დარჩეს.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე სსკ-ის 276-ე მუხლით, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას. საქმეზე ბრალი ჯერ არავის წაყენებია. პროკურორის სიტყვიერი განმარტების თანახმად, მიმდინარეობს აქტიური გამოძიება. თუმცა, გარდაცვლილის ოჯახის წევრთაგან არცერთი დაზარალებულის უფლებამონაცვლედ არის ცნობილი, რის გამოც, ოჯახი მოკლებულია შესაძლებლობას, გაეცნოს საქმის მასალებს.

6.12. ე.ძ-ს საქმე

მსჯავრდებულ ე.ძ-ს წერილობითი მომართვიდან ირკვევა, რომ დაკავებისას მის მიმართ ადგილი ჰქონდა თანამდებობის პირთა მხრიდან დანაშაულებრივ ქმედებებს. კერძოდ, იგი მიუთითებდა, რომ დააკავეს უკანონოდ და დაკავების დროს მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. ვინაიდან ე.ძ-ს წერილი შეიცავდა სავარაუდო დანაშაულის ნიშნებს, საიას იურისტის მიერ იგი გადაიგზავნა პროკურატურაში.

სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მხრიდან ე.ძ-ს მიმართ დაკავებისას განხორციელებული შესაძლო ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტზე, 2015 წლის 9 მარტს დაიწყო გამოძიება სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. სისხლის სამართლის

საქმეზე ჩატარებულია მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები და ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება. ვინაიდან ე.ძ. საქმეზე არსარგებლობს დაზარალებულის სტატუსით, საიას ადვოკატის განცხადება საქმის მასალების გაცნობასთან დაკავშირებით, პროკურატურის მიერ არ დაკმაყოფილდა.

6.13. თ.გ-ს საქმე

თ.გ-ს ნაამბობით ირკვევა, რომ 2015 წლის 15 დეკემბერს თერჯოლის პოლიციის თანამშრომლებმა უკანონოდ დააკავეს სამი არასრულწლოვანი, რომლებიც დაახლოებით 22 საათიდან დილის 5 საათამდე ჰყავდათ დაკავებული. თ.გ-ს ამ პერიოდის განმავლობაში აყენებდნენ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, სთხოვდნენ არასრულწლოვანი დანაშაულის აღიარებას და გამოძიებასთან თანამშრომლობას. მისი განმარტებით, ასევე ადგილი ჰქონდა მუქარას, რომ „ჩაუდებდნენ“ ნაქურდალ ნივთებს და სასამართლოში წარადგენდნენ.

მნიშვნელოვანია, რომ თ.გ. ამ დროისთვის იყო 14 წლის. დაკავების დროს მას ჩამოართვეს ტელეფონი და არ მისცეს დარეკვის შესაძლებლობა. თ.გ-სთან ერთად დაკავებული ერთ-ერთი არასრულწლოვანი კი, იყო 13 წლის, რომლის მიმართ არც ადმინისტრაციულ და არც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

ამჟამად საქართველოს მთავარი პროკურატურა აწარმოებს გამოძიებას და საქმე აღძრულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლით - განზრახ უკანონო დაკავება და 333-ე მუხლის მე-3 ნაწილით - სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი ძალადობით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით. დღემდე არ მომხდარა კონკრეტული პირებისთვის ბრალის წაყენება და არც თ.გ-ს და დანარჩენი ორი პირის დაზარალებულად ცნობა.

6.14. თ.მ-ს და გ.ვ-ს საქმე

თ.მ-სა და გ.ვ-ს ნაამბობიდან ირკვევა, რომ 2014 წლის სექტემბერში ისინი დუშეთში დააკავეს, პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევისა და ლ.უ-სადმი ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების, კერძოდ, ცემის ბრალდებით.

თ.მ. და გ.ვ. არ აღიარებენ დანაშაულს და აცხადებენ, რომ ლ.უ-ს მიმართ არანაირი დანაშაულებრივი ქმედება არ ჩაუდენიათ და არც პოლიციისთვის წინააღმდეგობა გაუწევიათ. მათი თქმით, პოლიციამ ისინი უსაფუძვლოდ დააკავა და ფიზიკურად გაუსწორდა.

2015 წლის მარტში გაიმართა სასამართლოს არსებითი სხდომა. აღსანიშნავია, რომ ბრალდების პროზიციას ადასტურებს მხოლოდ ადგილზე მყოფი 4 პოლიციელი და დაზარალებული ლ.უ., რომელიც ასევე სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელია. გარდა პოლიციელ მოწმეთა ჩვენებისა და ერთი ნივთიერი მტკიცებულებისა, რომელიც თავისთავად ვერცერთ გარემოებას ვერ ადასტურებს და რომელსაც არ ჩასტარება სათანადო გამოკვლევა, ბრალდების მხარეს სხვა რაიმე დამაჯერებელი მტკიცებულება არ წარმოუდგენია. სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის არგუმენტები და მხედველობაში არ მიიღო ის მტკიცებულებები, რომლებიც დაცვის მხარემ წარადგინა, მაგალითად, თ.მ-ს დაკავების ოქმი, სადაც მითითებულია, რომ მას აღენიშნება მრავლობითი დაზიანებები თავისა და სხეულის არეში. ასევე, თ.მ-ს ტანსაცმლის ამოღების ოქმში მითითებულია, რომ მისი ტანსაცმელი მთლიანად დასვრილი იყო სისხლით. ამასთან, მოწმე პოლიციის თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ შემთხვევის ადგილზე მისვლისას, თ.მ-ს თავი, ხელები და ტანსაცმელი დასვრილი ჰქონდა სისხლით, მან სამართალდამცავებს წინააღმდეგობა გაუწია და ერთ-ერთ პოლიციელს მისური შემოახია. თუმცა, პოლიციის თანამშრომლის ტანსაცმელზე სისხლის კვალი აღმოჩენილი არ ყოფილა. ასევე, წინააღმდეგობრივია დაცვის მხარის მოწმისა და დაზარალებულ ლ.უ-ს ჩვენებები. ლ.უ-მ დაკითხვაში აღნიშნა, რომ იგი იყო ფხიზელ მდგომარეობაში, რის საპირისპიროდაც, დაცვის მხარის მოწმემ დაადასტურა ამ უკანასკნელის მიერ ალკოჰოლის მიღების ფაქტი.

სასამართლო გადაწყვეტილება, ფაქტობრივად, დაეყრდნო დაზარალებული ლ.უ-სა და 4 პოლიციელი მოწმის ჩვენებებს. ასევე, განაჩენში მოხდა ისეთ მტკიცებულებებზე მითითება, რომლებიც წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ დაუშვებლად იყო ცნობილი. საბოლოოდ, თ.მ. და გ.ვ. ცნობილ იქნენ დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 125.1 და 353.2 მუხლებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში. სააპელაციო სასამართლომ საჩივარი არ დააკმაყოფილა, უზენაესმა სასამართლომ კი - დაუშვებლად ცნო.

6.15. რ.პ-ს საქმე

პატიმარ რ.პ-ს წერილიდან ირკვევა, რომ 2014 წლის 23 აგვისტოს ქ.ზუგდიდში იგი დააკავეს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ქურდობის ბრალდებით. დაკავების დროს პოლიციელების მხრიდან ადგილი ჰქონდა ძალის გადამეტებას. შედეგად, რ.პ-მ მიიღო სხეულის დაზიანებები, რაც დასტურდება დროებითი მოთავსების იზოლატორის მიერ გაცემული გარეგნული დათვალეირების ოქმით, ზუგდიდის საავადმყოფოს მიერ გაცემული სამედიცინო ცნობითა და სასჯელაღსრულების დაწესებულების მიერ

შედგენილი გარეგნული დათვალეირების ოქმით, ასევე, დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის მიერ გაცემული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით.

აღნიშნულ ფაქტზე 2014 წლის 4 სექტემბერს ზუგდიდის რაიონულ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე. გამოძიების დაწყებიდან დღემდე რ.პ-მ არაერთი განცხადებით მიმართა საგამომიებო ორგანოებს დაზარალებულად ცნობის მოთხოვნით, თუმცა - უშედეგოდ. აქედან გამომდინარე, მისთვის სრულიად უცნობია, თუ რა საგამომიებო მოქმედებები ჩატარდა მიმდინარე გამოძიების ფარგლებში.

რ.პ-ს საქმეში მნიშვნელოვანია ასევე თავად მისთვის ბრალად წაყენებული ქურდობის საქმეზე განვითარებული მოვლენებიც. როგორც თავად რ.პ და, ასევე, თვითმხილველი მოწმეები აცხადებენ, სამართალდამცავთა მიერ მისი დაკავება მოხდა სრულიად სხვა ადგილას, რის შემდეგაც იგი გადაიყვანეს დანაშაულის ადგილზე. ასევე, რ.პ-ს თან არ ჰქონდა დანაშაულის ჩადენაში მისი მამხილებელი ნივთიერი მტკიცებულება, რომელიც პირადი ჩხრეკის დროს სწორედ მისგან ამოიღეს. აღსანიშნავია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის მოწმეთა ჩვენებები და უპირატესობა მიანიჭა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ ჩვენებებს (პოლიციელების ჩვენებები) იმ მოტივით, რომ პოლიციელებს გაცნობიერებული აქვთ თავიანთი საზოგადოებრივი და მოქალაქეობრივი ვალი და პოლიციელი ჩვენებას იძლევა არა უფლების, არამედ თავისი მორალური და იურიდიული ვალდებულების გამო, რომლის დარღვევა გამოიწვევს მის მიმართ სახელმწიფო იძულების ზომების გამოყენებას. საინტერესოა ისიც, რომ რ.პ-ს საქმის სააპელაციო განხილვისას, გამოჩნდა სრულიად ახალი მოწმე, რომელიც აცხადებდა, რომ რ.პ-სთვის ბრალად წარდგენილი დანაშაული თავად ჩაიდინა. თუმცა, აღნიშნული მოწმე სასამართლო განხილვაზე არ დაუშვეს. საბოლოოდ, როგორც სააპელაციო ისე საკასაციო სასამართლოებმა უცვლელად დატოვეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც რ.პ. დამნაშავედ იქნა ცნობილი ქურდობის ბრალდებაში და მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქმის მასალების გაცნობის შემდეგ საიას თბილისის ოფისმა გადაწყვიტა, რომ რ.პ-ს საქმეზე საჩივრით მიმართოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს კონვენციის მე-3 (წამების აკრძალვა) და მე-6 (უფლება სამართლიან სასამართლოზე) მუხლების დარღვევის თაობაზე. საჩივარი ევროპულ სასამართლოში გაიგზავნება 2016 წლის ივლისის თვეში. პარალელურად, საია მიმართავს საგამომიებო ორგანოებს გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით.

6.16. პ.კ-ს საქმე

პ.კ-ს განმარტებით, 2014 წლის 31 აგვისტოს იგი დააკავა პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისთვის, რაც გულისხმობს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლისათვის დაუმორჩილებლობას. სასამართლოს გადაწყვეტილებით, პ.კ. ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და დაჯარიმდა 600 ლარით. აღსანიშნავია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება დაეფუძნა მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და დაკავების ოქმებს და ოქმის შემდგენის ახსნა-განმარტებას. სასამართლომ არ გაიზიარა პ.კ-ს პოზიცია მხოლოდ იმ მოტივით, რომ სავარაუდოდ დამრღვევი პირი, უმეტეს შემთხვევაში, ცდილობს პასუხისმგებლობისგან თავის არიდებას, თუმცა, პარალელურად, აშკარად დიდი ნდობა გამოხატა დამკავებელი პოლიციელის სიტყვების მიმართ მხოლოდ იმ მოტივით, რომ იგი წარმოადგენდა პროფესიული უნარ-ჩვევების მქონე პირს, რომელსაც სათანადოდ და ადეკვატურად შეუძლია ფაქტების შეფასება. ასევე აღსანიშნავია, რომ პ.კ-მ სასამართლო სხდომაზე მოითხოვა მისი დაკავების ამსახველი ვიდეოფირის საპატრულო დეპარტამენტიდან გამოთხოვნა. სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ პოლიციელთა პასუხს ვიდეოფირის არარსებობის შესახებ და ოფიციალურად არც კი უცდია აღნიშნული მტკიცებულების გამოთხოვნა შესაბამისი უწყებიდან. მოგვიანებით გაირკვა, რომ ვიდეოფირი რეალურად არსებობდა და მისი გამოთხოვნა სხვა დავის ფარგლებში მოხდა. სწორედ ხსენებული მტკიცებულება გახდა პ.კ-ს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განახლების საფუძველი.

პ.კ-ს განცხადებით, იგი დაკავების დროს პოლიციელების მხრიდან დაექვემდებარა ცემას, კერძოდ, პოლიციის ორმა თანამშრომელმა იგი ხელისკვრით მიწაზე ძლიერად დააგდო და მუშტების, წიხლებისა და ხელკეტის გამოყენებით მიაყენა სხეულის დაზიანებები. პ.კ-ს ფიზიკურ დაზიანებებზე მიუთითებს როგორც სამედიცინო შემოწმების ცნობა, ასევე, ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვით, მას აღენიშნებოდა მრავლობითი დაზიანებები თავისა და სხეულის არეში, მათ შორის სახეზე. დაზიანებები მიყენებული იყო ბლაგვი საგნის გამოყენებით, ჰქონდა ნაჭდევები ორივე მაჯაზე და აღენიშნებოდა მოტეხილობები მე-5 და მე-7 ნეკნებზე.

საიას დახმარებით, პ.კ-მ მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას. შსს-ს მიერ მიწოდებული ინფორმაციით, პ.კ-ს ცემაში მონაწილე პოლიციელებს გამოეცხადათ საყვედური.

პ.კ-ს საქმეზე საიას ადვოკატის არაერთი მიმართვის შემდეგ, პროკურატურის მხრიდან მოხდა პ.კ-ს დაზარალებულად ცნობა და ინციდენტში მონაწილე ერთ-ერთი პოლიციელისთვის ბრალის წაყენება.

ამ უკანასკნელის საქმე ამჟამად განიხილება პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის ბრალდებით, რაც გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამცემას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ბრალის წარდგენა მოხდა პოლიციელის ქმედებებიდან მხოლოდ ერთ ეპიზოდზე და გამოძიების ინტერესების მიღმა დარჩა პ.კ-სთვის მიყენებული ისეთი მძიმე დაზიანება, როგორცაა ნეკნების მოტეხილობა, რაც საქმის მასალებში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნით დასტურდებოდა. ასევე, სამართლებრივი შეფასების მიღმა დარჩა მეორე პოლიციელის ქმედება, რომლის მიმართაც, პროკურატურის განმარტებით, დევნა არ დაწყებულა, ვინაიდან არ დადგინდა დანაშაულის ნიშნები.

საია პ.კ-ს ინტერესებს იცავს როგორც სისხლის სამართლის საქმეში, ასევე, პოლიციელების მხრიდან უკანონო დაკავებისა და ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების კუთხით მიმდინარე ადმინისტრაციულ დავაზე, რომელზეც არსებითი განხილვა მიმდინარეობს. ასევე, საიამ პ.კ-ს საქმეზე გაგზავნა საჩივარი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, სადაც დავობს უკანონო დაკავების, არაადამიანური მოპყრობისა და არაეფექტური გამოძიების გამო.

6.17. ს.ჯ-ს საქმე

საიას ქუთაისის ფილიალი ახორციელებდა დაზარალებულ ს.ჯ-ს უფლებამონაცვლის ფ.ტ-ს ინტერესების დაცვას გამოძიებისა და სასამართლო განხილვის სტადიაზე.

2014 წლის 25 ივლისს ქ.ზესტაფონში ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა საქართველოს შსს-ს ზესტაფონის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელმა ახლო მანძილიდან, სამსახურებრივი სამტატო „იერიხოს“ მოდელის იარაღიდან, ხუთჯერ გაისროლა ყოფილი მეუღლის ს.ჯ-ს მისამართით და მიაყენა ჭრილობები მუხლის, გულმკერდისა და მარცხენა ხელის არეში. მიყენებული დაზიანებების შედეგად, ს.ჯ. შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა.

სტაციონარული სასამართლო ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით. ს.ს. ფსიქიკურად დაავადებული არ იყო. ის არანებაყოფლობით სტაციონარულ ფსიქიატრიულ მკურნალობას არ საჭიროებდა. ამავე დასკვნით, იგი იმყოფებოდა ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში. თუმცა, ამის საპირისპიროდ, საკომისიო სასამართლო ფსიქოლოგიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის მიხედვით, იგი არ იმყოფებოდა ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ, გაიზიარა რა საკომისიო

ექსპერტიზის დასკვნა, ბრალდებული დამნაშავედ ცნო სსკ-ის 11¹, 108-ე მუხლის საფუძველზე და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით, რაც ორივე მხარის მიერ გასაჩივრდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 12 ივლისის განაჩენით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი ძალაში დარჩა. აღნიშნული განაჩენი ასევე ძალაში დატოვა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ.

მართალია, უშუალოდ ს.ჯ-ს მკვლელის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დადგა და შესაბამისი სასჯელიც დაეკისრა, თუმცა, აღნიშნული საქმე სხვა კუთხით არის პრობლემური.

ს.ჯ-მ გარდაცვალებამდე არაერთხელ (3-ჯერ) აცნობა სამართალდამცავ ორგანოებს - როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს, ისე რაიონულ პროკურატურას - მისი ყოფილი მეუღლის მიერ განხორციელებული ძალადობისა და მუქარის შესახებ. თუმცა, არცერთ მის განცხადებას სათანადო რეაგირება არ მოყოლია. არ მომხდარა ფაქტების სათანადო გამოკვლევა, არ გამოცემულა შემაკავებელი ორდერი და არ დაწყებულა გამოძიება. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ 2014 წლის 25 ივლისს ს.ჯ-ს ყოფილმა მეუღლემ ცეცხლსასროლი იარაღით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა.

აღსანიშნავია, რომ სწორედ სამართალდამცავთა უმოქმედობისა და არასათანადო რეაგირებისთვის საიას თბილისის ოფისი გარდაცვლილის დედას სამართლებრივ დახმარებას უწევს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში დავის წარმოებაში. ასევე, საიას დახმარებით, გარდაცვლილის დედამ მოიგო ადმინისტრაციული დავა შსს-სა და პროკურატურის წინააღმდეგ. 2015 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებაში საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულმა კოლეგიამ მიიჩნია, რომ არსებობდა პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი სამართალდამცავთა უმოქმედობასა და ს.ჯ-ს გარდაცვალებას შორის, რის გამოც, ზემოაღნიშნულ ორგანოებს ზიანის ანაზღაურება დააკისრა.

ასევე, ს.ჯ-ს საქმეზე სამართალდამცავთა უმოქმედობასთან დაკავშირებით საიას მიმართვის საფუძველზე, 2015 წლის 17 თებერვალს დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით, შსს-ს ზესტაფონის რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე. თუმცა, დღემდე არ მომხდარა გარდაცვლილის დედის დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობა ან კონკრეტული პირის ბრალდება.

6.18. ლ.შ-ს საქმე

მსჯავრდებულ ლ.შ-ს განმარტებით, დგინდება, რომ 2013 წლის 24 დეკემბერს იგი თავისი მეგობრის სახლში მისული დააკავეს და ჩაუტარეს პირადი ჩხრეკა. დაკავების დროს მას სამართალდამცავებმა მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, რაც გამოიხატებოდა ცემასა და მუქარაში. პოლიციის შენობაში გადაყვანილს კი არ მისცეს ადვოკატსა და ოჯახთან დაკავშირების შესაძლებლობა.

ვინაიდან მსჯავრდებულის წერილი შეიცავდა სავარაუდო დანაშაულის ნიშნებს, საიას თბილისის ოფისის ადვოკატმა 2014 წლის 17 იანვარს მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას. აღნიშნული მიმართვის საფუძველზე, დაიწყო გამოძიება, თუმცა, 2014 წლის მარტის თვეში შეწყდა დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

გამოძიების შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველი გახდა ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვითაც, ლ.შ-ს სხეულზე არსებული დაზიანება ხანდაზმულობით არ შეესაბამებოდა შემთხვევის დღეს. თუმცა, ამის საპირისპიროდ, 2014 წლის იანვრის თვეში წარდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციის საფუძველზე, ჩატარდა ალტერნატიული ექსპერტიზა, რომლითაც დგინდება, რომ ლ.შ-სთვის მანამდე ჩატარებული სამედიცინო შემოწმება და გამოკვლევა არაჯეროვანი და არასრულყოფილი იყო, რის გამოც, ექსპერტი მოკლებულია შესაძლებლობას, სრულყოფილად შეაფასოს ლ.შ-ს სხეულზე არსებული დაზიანებების ხარისხი. ექსპერტი ასევე მიუთითებს, რომ მისთვის მიყენებული დაზიანება ხანდაზმულობით შეესაბამება შემთხვევის დღეს. აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნა მსჯავრდებულის მიერ წარდგენილ იქნა საგამოძიებო ორგანოებში და მოთხოვნილ იქნა საქმის განახლება, თუმცა, მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

ასევე, აღსანიშნავია, რომ საქმეზე არსებობდა მოწმის ჩვენება, სადაც ის მიუთითებს, რომ ესმოდა, სამართალდამცავები ლ.შ-ს როგორ აყენებდნენ ფიზიკურ შეურაცხყოფას. რაც შეეხება სამართალდამცავთა ჩვენებებს, ისინი ურთიერთსაწინააღმდეგოა - 2 მათგანი ამბობს, რომ ფიზიკური ძალის გამოყენებას ადგილი არ ჰქონია, მაშინ როცა სხვა პოლიციელი მოწმეები ამბობენ, რომ წინააღმდეგობის გაწევს გამო, მოხდა პროპორციული ძალის გამოყენება. ასევე, პროპორციულ ძალასა და წინააღმდეგობის გაწევაზე არაფერია ნათქვამი ჩხრეკის ოქმში, რომელიც შემდგომ დააკანონა სასამართლომ. ასევე, წინააღმდეგობრივია გამომძიებლის მიერ მიცემული ჩვენება და ექსპერტიზის დასკვნა. ყოველივე ზემოაღნიშნული ბადებს ეჭვს, რომ არ მომხდარა საქმის სათანადოდ გამოკვლევა და გამოძიების შეწყვეტა არ დაეფუძნა ფაქტების სათანადოდ გამოკვლევას.

6.19. ვ.ლ-ს საქმე

ვ.ლ-ს ნაამბობიდან ირკვევა, რომ 2013 წლის 27 ოქტომბერს იგი დააკავეს პოლიციელზე თავდასხმის გამო. მას ბრალი ედება შინაგან საქმეთა სამინისტროს რუსთავის განყოფილების უფროსის მოადგილისთვის ჯანმრთელობის მსუბუქ დაზიანებაში. როგორც იგი და სხვა მოწმეები აცხადებდნენ, ფაქტობრივი გარემოებები სრულიად სხვა რამეზე მეტყველებდნენ და, რომ ვ.ლ. იყო არა თავდამსხმელი, არამედ მსხვერპლი პოლიციელთა მხრიდან ძალადობისა. ვ.ლ-ს მიმართ განხორციელებულ ძალადობას და არსებულ დაზიანებებს ადასტურებს დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ ჩატარებული ექსპერტიზები, რომელთა მიხედვითაც, ამ უკანასკნელს აღენიშნებოდა ქალა-ტვინის დაზარალებული ტრავმა, თავის ტვინის შერყევა, სახის ძვლებისა და ქალას ფუძის მოტეხილობა. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ვ.ლ-ს დაზიანებები არის მძიმე ხარისხის და სახიფათოა სიცოცხლისთვის. რაც შეეხება დაზარალებულს, სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, მასაც აქვს გარკვეული დაზიანებები, კერძოდ, ყურის ნიჟარის დაჟეჟილი ჭრილობა, მარცხენა თვალის ჰემატომა და ზედა ტუჩის დაჟეჟილობა. თუმცა, ვ.ლ-სგან განსხვავებით, მისი დაზიანებების ხარისხი შეფასებულია, როგორც - მსუბუქი. აღსანიშნავია, რომ დაკავების დროს ადგილი ჰქონდა პროცედურულ ხარვეზებს, რის გამოც, პირველი წარდგენის სხდომის მოსამართლემ ვ.ლ. პატიმრობიდან გაათავისუფლა, ხოლო წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ დაკავების ოქმი დაუშვებელ მტკიცებულებად ცნო.

დღესდღეობით ვ.ლ-ს ბრალდების საქმეს განიხილავს პირველი ინსტანციის სასამართლო. აღსანიშნავია, რომ ბრალდების მხარის ძირითად მტკიცებულებას წარმოადგენს თავად დაზარალებული მოწმე და სხვა რამე დამაჯერებელი მტკიცებულება სასამართლო განხილვის დროს არ ყოფილა წარმოდგენილი.

რაც შეეხება ვ.ლ-ს ცემის ფაქტს, აღნიშნულთან დაკავშირებით, პროკურატურაში დაიწყო გამოძიება სსკ-ს 333-ე მუხლით. მითითებულ საქმეზე ვ.ლ. არ არის ცნობილი დაზარალებულად. პროკურატურის ზეპირი განმარტებით, ელოდებიან ამ უკანასკნელის ბრალდების საქმის დასრულებას, რომ შემდეგ აქტიურ ფაზაში გადავიდეს გამოძიება მისი ცემის ფაქტთან დაკავშირებით.

6.20. მ.მ-ს საქმე

გარდაცვლილი მ.მ-ს ოჯახის წევრების ნაამბობიდან ირკვევა, რომ მ.მ. 2013 წლის 5 ივლისს, დილით, საკუთარი სამუშაო ადგილიდან სამართალდამცავებმა წაიყვანეს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს შენობაში, სადაც, ოფიციალური

ვერსით, მოწმედ იკითხებოდა. დაკითხვის შემდეგ მ.მ-ს ჩაუტარდა ნარკოლოგიური შემოწმება, რის შედეგადაც, ამ უკანასკნელს ნარკოტიკული საშუალების მოხმარება არ დაუდგინდა. მთავარი სამმართველოს შენობიდან წამოსულმა მ.მ-მ მასზე განხორციელებული ზეწოლის შესახებ მეუღლესა და მეგობრებს მოუყვა და განაცხადა, რომ ძალით მოაწერიწეს ხელი მისი მეგობრის გ.მ-ს საწინააღმდეგო ჩვენებაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ კვლავ იყო დაბარებული პოლიციაში. მეორე დღით მ.მ-მ მეგობარს აცნობა, რომ მომხდარის შემდეგ სიცოცხლე აღარ სურდა, რის გამოც, თავის მოკვლას აპირებდა. მოგვიანებით კი, ის თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩამომხრჩვალ იპოვეს.

აღსანიშნავია, რომ მ.მ-ს გვამს, საგამოძიებო ორგანოს ინიციატივით, ჩაუტარდა ექსპერტიზა, რომლის შედეგად, ექსპერტმა დაზიანების კვალი (გარდა ჩამოხრჩობით გამოწვეული დაზიანებისა) ვერ აღმოაჩინა. შემდეგ, ოჯახის ინიციატივით, მას ალტერნატიული ექსპერტიზა ჩაუტარდა. აღნიშნული ექსპერტიზის შედეგად, გვამზე დაფიქსირდა დაზიანება, რომლის მიღების დრო შეესაბამებოდა მ.მ-ს სამმართველოში ყოფნის დროს. ექსპერტის განცხადებით, მ.მ-ს სიკვდილამდე დროის ახლო პერიოდში სხეულის დაზიანება „რამე მკვრივი, ბლავვი საგნის ზემოქმედებით“ მიაღდა.

მ.მ-ს მიმართ ზეწოლის განხორციელების ეჭვს აძლიერებს ის ფაქტიც, რომ იგი ჩვენებაში მიუთითებს დაკითხვამდე 10 დღით ადრე ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტზე, მაშინ როდესაც ნარკოტიკების მოხმარება არ დადგინდა არც ნარკოლოგიური შემოწმების და არც ექსპერტიზის დასკვნის შედეგად.

მ.მ-ს თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე 1 თვის განმავლობაში გამოძიებას აწარმოებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია, რომელმაც დაადგინა, რომ კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებს გარდაცვლილისთვის არ მიუყენებიათ ფიზიკური შეურაცხყოფა და არ მომხდარა მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლა. აღსანიშნავია, რომ საქმეზე გამოძიება უნდა ჩატარებინა არა შინაგან საქმეთა სამინისტროს, ანუ იმ უწყებას, რომლის სისტემაშიც, სავარაუდოდ, ჩადენილ იქნა დანაშაული, არამედ - პროკურატურას. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო სამმართველოს მიერ გამოძიების ეტაპზე გავრცელებული წინასწარი შეფასებები საქვოს ხდის წარმართული გამოძიების დამოუკიდებლობას, ეფექტიანობასა და სანდოობას. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 7 ივლისის №34 ბრძანების („სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარების განსაზღვრის თაობაზე“) დანართის („სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარება“) მე-2 პუნქტის თანახმად, პოლიციელის

მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე საქმე პროკურატურის გამომძიებლის საგამომძიებო ქვემდებარობას განეკუთვნება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შემდგომ საქმე გამოსადიებლად გადაეცა პროკურატურას. გარდაცვლილის ოჯახის არაერთი მოთხოვნისა და მიმართვის მიუხედავად, პროკურატურის მიერ არ დაკითხულა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოწმე, რომელიც გარდაცვალებამდე მცირე პერიოდით ადრე იმყოფებოდა მ.მ-სთან ერთად. ასევე, პროკურატურის მიერ არ მომხდარა იმ პოლიციელების დაკითხვა, რომლებმაც მ.მ. სამმართველოში გადაიყვანეს. 2016 წლის მარტში პროკურატურამ საქმეზე შეწყვიტა გამოძიება. გამოძიების შესახებ პროკურორის დადგენილებაში მითითებულია, რომ თვითმკვლელობამდე მიყვანას ადგილი არ ჰქონია.

ვინაიდან მ.მ-ს არც მეუღლე და არც დედა არ ყოფილან ცნობილი დაზარალებულის უფლებამონაცვლედ, ისინი მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით გაესაჩივრებინათ გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილება.

6.21. გ.ს-ს საქმე

გ.ს-ს ნაამბობიდან ირკვევა, რომ 2013 წლის 20 ივნისს ძმასთან და 2 ნაცნობ პიროვნებასთან ერთად იმყოფებოდა ქ.თელავში, თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე, რა დროსაც ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გავიდა თეატრის უკან. ამ დროს მათთან მივიდნენ პოლიციის თანამშრომლები, მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა (რაც გამოიხატებოდა სახის და სხეულის არეში ხელებისა და წიხლების გამოყენებით ცემაში) იმ მოტივით, თითქოს გ.ს. და მასთან ერთად მყოფნი იგინებოდნენ ე.წ. „ძაღლების“ მისამართით. შემდგომ გ.ს. დააკავეს, დაადეს ხელბორკილი და ძალის გამოყენებით ჩასვეს მანქანაში, სადაც მას სხვა პოლიციელებმაც დაუწყეს ცემა. იგი გადაიყვანეს ჯერ თელავის რაიონულ სამმართველოში, სადაც ასევე გრძელდებოდა მის მიმართ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. მეტიც, როგორც თავად გ.ს. აღნიშნავს, არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, მას არ მისცეს ადვოკატთან დაკავშირების საშუალება. ამის შემდგომ ის გადაიყვანეს სიღნაღის დროებითი მოთავსების იზოლატორში. ფიზიკური ძალადობის შედეგად, ამ უკანასკნელს სხეულზე აღენიშნებოდა მრავლობითი დაჟეჟილობები.

2013 წლის 20 ივნისს თელავის რაიონულმა სასამართლომ გ.ს. ცნო ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად პოლიციისთვის დაუმორჩილებლობის გამო და სახდელის სახით დააკისრა ჯარიმა 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით. როგორც გ.ს. აღნიშნავს, სასამართლო პროცესზე იგი დაეთანხმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის

ჩადენას, რაც მისი უკიდურესად მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობითა და პოლიციელებისადმი შიშით იყო განპირობებული.

2013 წლის 21 ივნისს გ.ს-მ, სამართალდამცავების მიერ მისი ცემის ფაქტზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით, თელავის რაიონულ პროკურატურასა და შსს-ს გენერალურ ინსპექციას მიმართა. 2013 წლის 22 ივნისს თელავის რაიონული პროკურატურის მიერ დაიკითხა გ.ს. იგი გაიგზავნა ექსპერტიზაზე, სხეულზე არსებული დაზიანებების ხარისხის დადგენის მიზნით.

ამჟამინდელი მდგომარეობით, კახეთის საოლქო პროკურატურაში კვლავ მიმდინარეობს გამოძიება თელავის რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ გ.ს-სთვის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე. გ.ს. დღემდე არ არის ცნობილი დაზარალებულად და, შესაბამისად, მოკლებულია შესაძლებლობას, გაეცნოს საქმის მასალებს და მიიღოს ინფორმაცია მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებით.